საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიტებით ბეტ-თის გაფანა ყველა ეკალისიბაგზე ესაძაგლესია.

ორშაბათი, 29 იანვარი. 2024 წ. №11 (9691) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ჩვენი მიწა-წყლის საერთაშორისო მისია

UNITED STATES
EUROPEAN COMMAND

აშშ-ის ევროპული სარდლობა:

საქართველო აქტიურად უწყობს ხელს რეგიონულ სტაბილურობას

იხ. 5 გვ.

სანდრო გაზაძე საფრანგეთის ჩემპიონატის გამარჯვებულია!

ქალაქმა მეზონ-ალფორმა ხმლით გუნდურ პირველობაში საფრანგეთის ჩემპიონატს უმასპინძლა. პრესტიჟული ტურნირი კიდევ ერთხელ მოიგო კლუბმა „ორლეანმა“, რომლის ლიდერი მსოფლიოს ნომერ პირველი მოფარიკავე სანდრო გაზაძეა.

საფრანგეთის ჩემპიონატში „ორლეანის“ ღირსებას ქართველ სპორტსმენთან ერთად ფრანგი მოფარიკაველები – ბოლად აპიტი და ძმები, ჟან-ფილიპ და სებასტიან პატრისები იცავდნენ.

ალეკო ასლანიშვილი:

ორგზის შერეკილები



იხ. 3 გვ.

თაკო ჩარკვიანი: არ გავიდეთ გარეთ? არ დავყაროთ კარვები და ლეიბები???

სალოტბარო სკოლების დიდი ეროვნული მიზანი

კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სალოტბარო სკოლების პედაგოგებს შეხვდა. შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა და მას ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი დონაძე და ხელმძღვანელის მოადგილე გიორგი გაბუნია ესწრებოდნენ.

მინისტრმა საქართველოში მოქმედი სალოტბარო სკოლების 65 პედაგოგთან, მათ შორის, ლოტბარებსა და რეგენტებთან ერთად განიხილა სკოლებისა და პედაგოგების გეგმები, მოისმინა მათი საჭიროებები. განიხილეს ახალი პროექტებისა და ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობები.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეგიდით, საქართველოში 31 სალოტბარო სკოლა ფუნქციონირებს, სადაც უსასყიდლოდ არის შესაძლებელი ქართული მრავალხმიანი სიმღერებისა და საკრავებზე დაკვრის შესწავლა. სალოტბარო სკოლების შექმნას ქართველმა მოღვაწემ, ანზორ ერქომაიშვილმა ჩაუყარა საფუძველი.

კულტურის სამინისტროსთვის ქართული ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა ერთ-ერთი პრიორიტეტია. საქართველოს კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი შარშან ესტუმრა მესტიის, ლენტეხის, ამბროლაურის, ონის, ზესტაფონის, ხონის, ბორჯომის, ახალციხის, დუშეთის, სამტრედიის, კასპის, ქარელის, გორის, ყვარლის, თელავის, ოზურგეთის, ბაღდათის, ვანის, აბაშის, სენაკის, ზუგდიდისა და წალენჯიხის სალოტბარო სკოლებს, რის შედეგადაც, თბილისში შემაჯამებელი შეხვედრის მოწყობა გადაწყდა.



იხ. 7 გვ.

აპოკალიფსისა და მესამე მსოფლიო ომის მოლოდინში „ბუნკერების ბუმი“

პეტრე მამრაძე:

„შეშლილი მსოფლიო“ ლგბტ-ს მხარდაჭერით ჩაიციკლა!

უწმინდესი სიცოცხლეშივე სიკეთის და სიმართლის სიმბოლოდ იქცა!

იხ. 4 გვ.



მსოფლიოში ყველაზე დიდი გემი მაიამის პორტიდან შვიდ-დღიან მოგზაურობას იწყებს!

მსოფლიოში ყველაზე დიდმა საკრუიზო გემმა, Icon of the Seas მაიამის პორტიდან შვიდდღიანი მოგზაურობა დაიწყო.

საკრუიზო გემი ეკიპაჟის 2 350 წევრთან ერთად, დაახლოებით 10 000 მგზავრს იტევს. ფინეთში, ტურკუში, გემთმშენებლობის ქარხანაში აშენებულ, ბაჰამის კუნძულებზე რეგისტრირებულ გემს აქვს შვიდი საცურაო აუზი და ექვსი ე.წ. წყლის სლაიდი, ყინულის მოედანი, თეატრი. საკრუიზო გემის აშენება 2 მილიარდი დოლარი დაჯდა. ამასთან ერთად, საკრუიზო გემზე არის 40-ზე მეტი რესტორანი, ბარი და ლაუნჯი.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲓᲣᲜᲓᲣᲐ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘᲐ ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ მიიღო ახალი, საუკეთესო ისტორიული შეფასება და დაწინაურდა 29-ე პოზიციაზე, რაც საუკეთესო შედეგია, – ასე შეაფასა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, მიხეილ დუნდუამ ევროპის ანტიკორუფციული კვლევების ცენტრის მიერ გამოქვეყნებული კეთილსინდისიერების 2023 წლის ინდექსი.

„წლიდან წლამდე საქართველო ამტკიცებს, რომ ეფექტურია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და კეთილსინდისიერების მიმართულებით“, – აღნიშნა მიხეილ დუნდუამ.

ევროპის ანტიკორუფციული კვლევების ცენტრმა (ევროპის ანტიკორუფციული და სახელმწიფო აღმშენებლობის კვლევის ცენტრი) კეთილსინდისიერების 2023 წლის ინდექსი გამოაქვეყნა. საქართველომ შეფასების 10-ბალიანი სისტემით 7,56 ქულა მიიღო, რაც მისი ახალი ისტორიული მაქსიმუმია, ასევე ისტორიულად საუკეთესოა ქვეყნის სარეიტინგო პოზიცია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რკინიგზის დელეგაცია, გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობით, ანკარაში ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის (შუა დერეფანი) მმართველი და საერთო კრების შეხვედრებს დაესწრო, – ინფორმაციას საქართველოს რკინიგზის პრესსამსახური ავრცელებს.

„შუა დერეფნის მონაწილე ქვეყნების სარკინიგზო ადმინისტრაციების, საპორტო ინფრასტრუქტურის და საზღვაო გადამზიდავების ხელმძღვანელებმა 2023 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში და შედეგები წარადგინეს, ასევე 2024 წლის გეგმებზე ისაუბრეს.

ანკარაში ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშუტისადმი მიძღვნილი ე.წ. მრგვალი მაგიდაც გაიმართა. დისკუსიებში, რომელიც შუა დერეფანში არსებულ გამოწვევებსა და პერსპექტივებს ეხებოდა საერთაშორისო ინსტიტუტების ექსპერტები, ტვირთმფლობელები, ფორვარდერები, თურქეთისა და შუა დერეფნის ქვეყნების მიზნესწრეების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის ფარგლებში საქართველოს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის რკინიგზების მიერ დაფუძნებული ერთობლივი კომპანიის, Middle coridore Multimodal LTD-ის მმართველობის პირველი საერთო კრება გაიმართა. შეხვედრაზე ახლად დაფუძნებული კომპანიის მიერ უახლოეს თვეებში განსახორციელებელი ორგანიზაციული და საოპერაციო საქმიანობები განიხილეს“, – აღნიშნულია რკინიგზის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ: ᲝᲤᲗᲐᲚᲛᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲐ!

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ინფორმაცია, თითქოს, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სასწრაფო ოფთალმოლოგიური ოპერაციები არ ფინანსდება, სიმართლეს არ შეესაბამება.

სამინისტროს ინფორმაციით, 16 სახის ოფთალმოლოგიური დიაგნოზისთვის, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ ჩარევას, ოპერაციები შეუფერხებლად მიმდინარეობს.

საყურადღებოა, რომ შესაბამისი კატეგორიის მენეფიციარებს, მთელი წლის განმავლობაში, სრულად დაუფინანსდებათ გლაუკომის სამკურნალო მედიკამენტებიც.

რაც შეეხება კატარაქტას, უმეტეს შემთხვევაში, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, იგი არ საჭიროებს გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევას, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი დიაგნოზისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ გეგმური სახის ოპერაციები.

ჩვენი მოქალაქეებისთვის მაღალი ხარისხის ჯანდაცვაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მთავარი პრიორიტეტია. სახელმწიფო პროგრამები მუდმივად ფართოვდება და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა იმისთვის, რომ სახელმწიფო დაფინანსებამ მაქსიმალურად მეტი დაავადება მოიცვას“, – აცხადებენ სამინისტროში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲓᲦᲘᲡ წᲘᲜᲐᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲓᲐ. საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-13 სხდომა გაიმართა.

სხდომაზე საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები განიხილეს; ისაუბრეს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პოტენციალზე როგორც ეკონომიკური ურთიერთობების და ვაჭრობის, ისე ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ტურიზმის, კულტურისა და განათლების მიმართულებით.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველოსთვის სომხეთი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს და უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ათეულში იმყოფება. 2023 წლის მონაცემების თანახმად, ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეულში სომხეთი სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, წინა წლის ანალოგიურად, მე-6 ადგილზეა.

ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისია მნიშვნელოვანი პლატფორმაა საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიკური, სავაჭრო, სატრანსპორტო და კულტურული კავშირების გაძლიერებისთვის. სხდომაზე საუბარი შეეხო რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობას. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო განაგრძობს ძალისხმევას სამშვიდობო პროცესის ხელშესაწყობად და მზად არის, ამ მიმართულებით ჩართულობა მომავალშიც გააგრძელოს.

სხდომის დასრულების შემდეგ მხარეებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ. საქართველოს მხრიდან დოკუმენტს ხელი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა მოაწერეს. ასევე ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-13 სხდომის ოქმს.

გაფორმდა სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი. მხარეებმა ხელი მოაწერეს ჯანდაცვის სფეროში ურთიერთგაგების მემორანდუმს; ასევე – შეთანხმებას ორი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების საქმიანობის პირობების გაუმჯობესების შესახებ. დოკუმენტებს ხელი სომხეთისა და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წევრებმა მოაწერეს.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲘᲤᲠᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ TRAVERSE-Ს ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲡ

ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲙᲐᲛ�პᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝ�პᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, პირველად საქართველოში, თბილისში საერთაშორისო ციფრული კონფერენცია TRAVERSE გაიმართება, – ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ღონისძიების ფარგლებში, 30 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით, საქართველოს 180-მდე ინფლუენსერი ეწვევა დიდი ბრიტანეთიდან, აშშ-დან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. მსოფლიოში ცნობილ მოგზაურ ბლოგერებს სოციალურ ქსელებში მილიონობით გამომწერი ჰყავთ.

„იანვრის ბოლოს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეს 200-მდე ბლოგერი ეწვევა, გაიმართება კონფერენცია, მოეწყობა ვორქშოფები, მონაწილეებს ექსპერტები გამოცდილებას გაუზიარებენ. პირველად ვარ საქართველოში და განსაკუთრებით მომეწონა ქართული კერძები და ღვინო. ინფლუენსერები, რომლებიც საქართველოს ეწვევიან, თქვენი ქვეყნის შესახებ შექმნიან ისტორიებს. ვფიქრობ, აუდიტორიისთვის პოზიტიური გამოცდილების გაზიარებით ყველაზე კარგ კამპანიას ქმნი. ინფლუენსერებს, რომლებიც ჩვენ ჩამოგვყავს, საოცარი გამოცდილება აქვთ, მათ მიერ შექმნილი მასალა სხვადასხვა პლატფორმით გავრცელდება, რაც ძალიან დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოს.

ეს იქნება YouTube-ი, Instagram-ი, Tik Tok-ი, ასევე ციფრული და მეჯდური მედიასაშუალებები. საქართველო საუკეთესო ადგილია, გვინდა, მთელ მსოფლიოში ადამიანებს გავაცნოთ და მოგზაურობის სურვილი გავუჩინოთ, რომ აღმოაჩინონ ახალი ტურისტული ადგილები საქართველოში“, – აცხადებს TRAVERSE -ის კონფერენციის ორგანიზატორი მაიკლ ბოლი.

ლონდონში დაფუძნებული TRAVERSE ეხმარება გლობალურ ბრენდებსა და ტურისტულ ჰაბებს ციფრული პროექტების განვითარებაში, კონფერენციებში მონაწილეობას იღებენ როგორც დამწყები, ასევე პროფესიონალი ინფლუენსერები (ბლოგერები, YouTube, Instagram, Tik Tokers და ვიდეოგრაფები და ა.შ.).

ორგზის შერეკილები

თაკო ჩარკვიანი: არ გავიდეთ გარეთ? არ დავყაროთ კარვები და ლეიბები???

დამთავრდა თუ არა გაუთავებელი კველით და ახლით შობა-ახალწლის უპირო სმა-ჭამა დიდად შესარგი და პაატა გულიაშვილის „მისხო და მარო“, ოპოზიციამ პურჩაბუქბუქებული ხაშის მათლაფიდან გაფიქვინებული თავი წამოწია და ღეჭვა-ღეჭვით ეძგერა საქმეს.

საქმე კი ისეთი იყო, შეფერხება და გადადება რომ არა და არ ეგების – არჩევნებისთვის მზადება და „ქართული ოცნების“ მოუსავლეთში გაგზავნა.

ჰოდა, მე თუ მკითხავთ, ახალი, 2024 წელი დაახლოებით 20 იანვრიდან (წყალკურთხევა კიდევ იყო პრის ჭამის მიზეზსაბაბი) დაიწყო. ამიტომ ახლა ოპოზიცია გაცდენილის ანაზღაურებას ცდილობს. არაფერს არ თაკილობს – მატრონას ხატის ასXერ გადაღებილი ფრაგმენტიდან საპარლამენტო დელეგაციის ჩინეთში ვიზიტის განქიქებამდე. როგორც იტყვიან, „მაღლა ვერ შესწვდა სპილოსა, დაბლა უკბინა რბილოსა“.

ხო ვითომ დამთავრდა ბატალიები ევროსაბჭოს წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად, მივიღეთ და მოვისვენეთ. ბრიუსელის დერეფნებში ჩასაფრებული კმეებისა და დებისგან დაკბენილი გვერდები და უკანალები მოვიშუშეთ, მაგრამ თურმე XერსადაXარ! XაშუშობამდაDასამენამ თბილისში ახლებურად გაილაღა.

ამ ორი დღის წინათ გამოქვეყნდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ახალი ანგარიში, რომლის თანახმადაც საქართველო ევროკავშირის მიერ შექმნილ პარტნიორობის ჩარჩოში გაერთიანებულ 6 ქვეყანას (მოლდოვა, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ბელარუსი) შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წარმატებით მესამე ადგილს იკავებს(?!), რაც მთავარია, 2023 წლის შეფასება 2021 წლის შეფასებას ჩამორჩება (?). ყველაზე წარმატებულ მოლდოვას შემდეგ მოდის უკრაინა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ბელარუსი.

ინდექსი სამი ძირითადი მიმართულებით შეფასებას მოიცავს: დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ევროკავშირის პოლიტიკასთან სიახლოვე, მდგრადი განვითარება. ასეთ ვითარებაში „საქართველომ მნიშვნელოვნად დაკარგა პოზიციები, როგორც დემოკრატიის, ისე კარგი მმართველობის და ევროკავშირის პოზიციასთან დაახლოების ინდიკატორებში, საქართველოს მაჩვენებლები ხასიათდება მნიშვნელოვანი დაღმავალი ტენდენციით, კიდევ უარესი – მკვეთრი დაცემით მრავალ სფეროში, რაც ასახულია ქვეყნის პოლიტიკურ პოლარიზაციაში (გამონაკლისია შეკრების თავისუფლება)“.

ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლება აშკარად უგულებელყოფს სამოქალაქო საზოგადოების ნებას და მიდრეკილია რუსეთის დაშოშმინების პოლიტიკისკენ, რაც ევროკავშირის პოლიტიკას ეწინააღმდეგება.

რა ნაცნობი, ძალიან ნაცნობი სიტყვებია, მათ ხომ ყოველდღიურად ვისმენთ ოპოზიციის ლიდერებისგან!

არადა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი წერს სოციალურ ქსელში „X“, „კეთილსინდისიერების ინდექსის“ მიხედვით საქართველო ლიდერია აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში და ასევე უსწრებს ევროკავშირის წევრობის ყველა კანდიდატ ქვეყანას, ევროკავშირის 6 წევრს და ნატოს 10 სახელმწიფოს(!!!).

აღმოჩნდა, რომ ანგარიშის შეფასებაში არაფერია საკვირველი: აღმოსავლეთ პარტნიორობის ეს კვლევა ეყრდნობა ფორუმის დამკვირვებლების და ადგილობრივი ექსპერტების მოსაზრებებს. სავარაუდოა (სავარაუდო კი არა ნათელია), რომ ეს მაჩვენებლები ადგილობრივი ექსპერტების „ნამოღვაწარია“. ანგარიშის ავტორები დაეყრდნენ ადგილობრივ ენჯეოებს და არა საერთაშორისო რეიტინგებს, რომელთა მიხედვით საქართველო ბევრი მიმართულებით ლიდერობს რეგიონში. გამოდის, რომ ქართულმა ენჯეოებმა საკუთარ ქვეყანას დაბალი ქულები დაუწერეს, მაშინ როდესაც უკრაინას და მოლდოვას აშკარად დიდი პიარები აქვთ. ძალაუნებურად იფიქრებ, რომ ამაში იმათი ხელი ურევია, ვინც თავის დროზე საქართველოს ყოველი ღონით ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის მინიჭებაში, ჯაშუშობდა და ენატანობდა. ამის დასტურია ის, რაც თვალნათლივ ვიხილეთ ორიოდე დღის წინათ ევროსამჭოში: მიკროფონთან იდგა ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბეჟუაშვილი და შთაგონებულად თათხავდა საქართველოს. ახლა არ იკითხავთ რასთან დაკავშირებით? რასთან და თურმე საქართველოში ჟურნალისტების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ფიზიკური უსაფრთხოება ყოფილა. მაგალითად მოიყვანა 2021 წლის 5 ივლისის „მაესომრივი თავდასხმა ჟურნალისტებზე“, როდესაც ტვ „პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა „სასტიკად ცემის შედეგად რამდენიმე დღეში გარდაიცვალა“... ღმერთმა აცხონოს ის კაცი, მაგრამ მთელმა საქართველომ ხომ იცის, რომ მისი გარდაცვალების მიზეზი ცემა არ ყოფილა, ნარკოტიკის ზედოზირებით გარდაიცვალა!

ბეჟუაშვილმა შეშფოთება გამოთქვა „საქართველოში ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედიის საერთაშორისო პარტნიორებზე ანტიდასავლური რიტორიკის და მუდმივი თავდასხმების გამო, რაც არა მხოლოდ ძირს უთხრის დემოკრატიისა და თავისუფლების ღირებულებებს, არამედ აზიანებს ქართველი ხალხის ევროპულ მისწრაფებას“.

დაბოლოს, ბეჟუაშვილმა ევროპის სამჭოს მოუწოდა ყურადღებით დააკვირდეს საქართველოში არსებულ ვითარებას და გადაჭრას(?!) ჟურნალისტების წინაშე მდგარი გამოწვევები.

ახლა ამ შავ-ყვითელა ბეჟუაშვილს მისი მოხსენებით გამბითურებულმა კაცმა რომ უთხრას, მაშ მტყუანის კეთილებიო... რას იზამს მართალი და სიმართლის მოყვარული ლევანა? ხომ გაქანდება ევროსამჭოში საჩივლელად, მაგინებენ, ძიებოო!..

* * *

ასე რომ, საარჩევნო სამზადისი ყველაფერში იგრძნობა, გააფთრებული კბილთა ღრჭენაა – ცესკოს თავმჯდომარე საყოველთაოდ არჩეული კი არა, მოვალეობის დროებით შემსრულებელიაო. გასაგებია, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე ცესკოს თავმჯდომარის არჩევნები ოპოზიციისთვის მომავალი გამარჯვების კბილის მოსინჯვა იქნება და ჩვეულებისამებრ რომ ჩაფლავდება, საპარლამენტო არჩევნებს მაზალეთის ომად აქცევს... ამის დიდი იმედი აქვს, მაგრამ არც ეს გამოუვა.

პროგნოზი, რომ მალე პოლიტიკურ არენაზე ნიკა გვარამია შემოვარდება კუდიანი ვარსკვლავივით და სულ წია-წია წაიღებს ყველაფერს, რაღაც არ მართლდება, დრო გადის და ღრუბლებში ნიკას ქოჩორი ჯერ არ ჩანს. ჰოდა, რათა მომლოდინეთ არ ჩამოეძინოთ, 15 იანვარს ფეისბუქზე პოსტი გამოქვეყნდა ასეთი შინაარსით: **რისთვის მოდის გვარამია პოლიტიკაში?** მასში კარგად ჩანს, რომ, ჯერ ერთი, კი არ მოდის, მოსჭექს და მოგრგვინავს; მეორეც – მცირე რამ გამარჯვება, მაგალითად 10-კაციანი, თუნდაც 20-კაციანი საპარლამენტო ფრაქცია არ აინტერესებს და, არც მეტი, არც ნაკლები – ხელისუფლების შეცვლა უდევს გულში. ამ მიზნის მისაღწევად კი მზად არის ყველანაირი დათმობისთვის, მათ შორის, ცალმხრივი დათმობისთვისაც, მომარჯვებული აქვს გამბედაობა, კეთილგონიერება და პირადზე მაღლა საერთო ინტერესის დაყენების უნარი... ყოჩაღ, ძმაო, მაგრამ ძალაუნებურად გინდა შესძახო, ისე აგიშენდა ოჯახი!

საკუთარი თავით მოხიბლული კაცი კორესპონდენტის შეკითხვაზე, ამ მიზნების მისაღწევად ვის ელაპარაკები ან დაელაპარაკებიო, გვიმხელს: ყველას, ყველასო!

ბიჭო,ნიკა, დაურჩი დედაშენსა!

რითი არ ჰგავს იგი იმ ახალგაზრდა კორსიკელ ოფიცერს, რომელიც ტულონში ათასობით გაშმაგებული მოქალაქის შესაკავებლად ქვემეხის ლაფეტს მიყრდნობილი, თვალმოჭუტული გასცქეროდა აბობოქრებულ მოედანს, ოღონდ არა იმის ფიქრში, ზარბაზნები დაეშინა თუ არა შუა ქალაქში ხალხისთვის, არამედ იმის ანგარიშში, რომელი წერტილიდან სჯობდა დაშენა. და ნიკა-ნაპოლეონ ბონაპარტ-გვარამია ტკბილად შესცინის თავის მომავალსა და ბედ-იღბალს.

* * *

იქით მოღუშული გრძელცხვირა კაცი ჯდება „მუსტანგში“ და საქართველოს შემოსავლელად მიდის, რათა „შეცვალოს ქართველი ხალხის ცხოვრება, ეს ქვეყანა გახადოს წარმატებული, შექმნას ძალიან, ძალიან, ძალიან ბევრი სამუშაო ადგილი, გააორმაგოს მიუჯეტი, პენსიონერებს მისცეს ღირსეული ცხოვრების საშუალება, შექმნას პირობა იმისა, რომ ჩვენი ემიგრაცია დაბრუნდეს მონატრებულ სამშობლოს!!!

საფიქრალი ბევრი აქვს „მუსტანგით“ საქართველოს სიგრძე-სიგანით მიმქროლავ მამუკა ხაზარაძეს. ისიც თავსატეხი აქვს, რომ მის ამ კეთილ მიზნებს არავინ უჯერებს. მაგრამ მამუკა- „ლელო“ არ ტყდება, მუშტებს იქნევს, მიჭენაობს, უფლება და საშუალება რომ მისცე, მისი მავნე ტემპერამენტის პატრონი ვინ იცის, რა უბედურებას დაატრიალებს...

* * *

საპარლამენტო დელეგაციის ჩინეთში ვიზიტის მნიშვნელობაზე საუბრისასაც კი აცდა ოპოზიცია ეროვნულ ინტერესებს. ოდითგან ამრეშუმის გზა იწყებოდა ჩინეთში და მთავრდებოდა ევროპაში. დღეს კი ატეხილი აქვთ ღრიანცელი ანტიჩინური განწყობით. განსაკუთრებით გამოირჩევა ენჯეოს – „სამოქალაქო იდეის“ ხელმძღვანელი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი.

იხ. 5 გვ.



სამარცხვინო ოპოზიცია



„არა მგონია, უცხოელი დონორების გეგმაში იყოს საქართველოს ეკლესიის წაქცევა, მაგრამ უცხოელებს აქვთ ერთიანი მიდგომა და რაც ტრენდულია, იმის დაცვას ითხოვენ ყველა ქვეყანაში. ასეთი ტრენდული აღმოჩნდა ლგბტ თემის დაცვა, ახლა კი ტრენდულია, რომ თეთრკანიანები ვალში ვართ შავკანიანების მიმართ“, – აცხადებს For.ge-სთან საუბარში „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე.

თრიაქით დაბანგული ფიურერა პატრიარქის სავარძელში

„შეშლილი მსოფლიო“ ლგბტ-ს მხარდაჭერით ჩაიციკლა!

უწმინდესი სიცოცხლეშივე სიკეთის და სიმართლის სიმბოლოდ იქცა!

– რას ემსახურება ოპოზიციისა და არასამთავრობოების მხრიდან ეკლესიის თემით სპეკულაცია? რამდენად აწყობთ უცხოელ დონორებს ეკლესიის მიმართ ტერორი და ხომ არ ნიშნავს ეს მიზანმიმართულ ბრძოლას სარწმუნოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ?

– ანალიზისთვის უნდა დავყოთ ეს საკითხები და ცალ-ცალკე განვიხილოთ. შეგახსენებთ, რომ სააკაშვილი პირადად მტრობდა უწმინდესსა და უნეტარესს და ეს გასაგებიც იყო. სააკაშვილისთვის, მისი ფსიქოპათიიდან გამომდინარე, აუტანელი იყო ისეთი ინსტიტუტის და, უპირველეს ყოვლისა, ისეთი ადამიანის არსებობა, რომელიც გაცილებით დიდი პოპულარიზითა და ნდობით სარგებლობდა მასთან შედარებით. აბსოლუტურად ყველა გამოკითხვა ამას აჩვენებდა, იქნებოდა ეს უცხოური ორგანიზაციების, „ინდიაის“, „აირაის“ კვლევები, თუ ადგილობრივი გამოკითხვები. ასევე, ქართული არმია სარგებლობდა მაღალი ნდობით, იყო შემთხვევები, როცა თავიდან პოლიციაც მაღალი ნდობით სარგებლობდა, მაგრამ ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის რეიტინგი სააკაშვილისთვის მიუღებელი იყო. სააკაშვილი ცდილობდა, ეკლესიაც ექცია ინსტრუმენტად თავისი ძალაუფლებისთვის. გვახსოვს, როცა ეკლესიის თავკაცებს ჯიპები აჩუქეს. ერთი მხრივ, ეს იყო მოსყიდვის მცდელობა და, მეორე მხრივ, მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს ყველა ამ ჯიპში. ეს იმიტომ, რომ კომპრომატი ჰქონოდათ სასულიერო პირებზე.

სრულიად ამაზრზენი რამ მოხდა 2008 წლის დეკემბერში, როდესაც უწმინდესი გაემგზავრა მოსკოვში, იქ შეხვდა რუსეთის ეკლესიის ხელმძღვანელებს, შეხვდა მაშინდელ ნომინალურ პრეზიდენტ მედვედევს, თორემ ძალაუფლება, რა თქმა უნდა, პუტინის ხელში იყო. ჩამოსვლისთანავე უწმინდესმა განაცხადა, რომ ამ შეხვედრებისას რუსეთის პრეზიდენტმა თქვა, მზად არის, განიხილონ საკითხი, დაიხიოს რუსეთის ჯარმა იმ პოზიციებზე, რაც თავის დროზე ჰქონდა. პატრიარქმა პირევიც ახსენა, სოფელ პერევიდან ხვალვე დაიწყებენ გასვლას რუსის ჯარები. ამასთან, დასძინა, რომ ამერიდან საჭიროა ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურები ჩაერთონ ამ მოლაპარაკებაში რუსეთთანო. სააკაშვილმა მაშინვე მათუმიდან გააკეთა განცხადება, უწმინდესი რომ მიდიოდა, მე ვურჩიე თუ ვთხოვე, ეს ასე გააკეთეო, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა სააკაშვილის საუბრიდან გამომდინარე, რომ რა ქნას პატრიარქმა, არ არის ეს კაცი არც დიპლომატი, არც სახელმწიფო მოღვაწე და რაღაც მაინც გააკეთა.

შემდეგ რუსეთის ჯარმა ორგანიზებულად დაიწყო პერევიდან გასვლა, კარვები შეკრეს და დაიძრნენ, ამასობაში დილიდან უკვე ყვიროდნენ კოლექტიური ცისკარიშვილები, გაბაშვილები, უგულავები და სხვები, კუდით ქვა ვასროლინეთ რუსებს, როგორც ახლა პერევიდან გარბიან, ასე გაიქცევიან ყველა ადგილიდან!.. ადგილზე კიდევ „ფსიქოლოგიური შეტევა“ განახორციელეს, ქართული ჯარი ავტომატებით ხელში მისდევდა რუსებს და სააკაშვილის ტელევიზია იღებდა, როგორ გარბოდნენ რუსები „სააკაშვილის შიშით“. ეს იმიტომ მოხდა, რომ უწმინდესს ხალხის თვალში არ შერჩენოდა, რომ მან თავისი ავტორიტეტით რუსები გაიყვანა პერევიდან. რუსებმა 800 მეტრით კი დაიხიეს, მაგრამ მერე რუსმა გენერალმა თქვა, აქ რაღაც უბედურება ხდებაო, შეაჩერა უკანდახევა, გამოიძახა დამატებითი ძალა, მედესანტეები და კუდით ქვა ასროლინა სააკაშვილის ხალხს. რამდენიმე წლით სიტყვა „პერევი“ პოლიტიკური რუკიდან წაიშალა. არავის უხსენებია პერევი. მერე ჩვენ გვახსოვს, როდესაც უწმინდესი არ მივიდა 26 მაისის აღლუმზე, რადგან 2011 წელს დარბევა მოხდა. მანამდე, 2009 წელს პედაგოგებს ხვდებოდა უწმინდესი და პედაგოგებმა ჰკითხეს, აგვისტოს ომი გარდაუვალი იყოო, უმწინდესმა, რომელიც ღრმად ჩახედულია ამ საკითხში, სიმართლე თქვა, არა, ეს იყო აბსურდული ომი.

– სააკაშვილს პატრიარქთან მეტოქეობის სურვილი არ უშლიდა ხელს, ქუთაისში ბაგრატის ტაძართან თავისი სახელი გაეიგივებინა, რომ თითქოს იგი საქართველოს გამაერთიანებელი ბაგრატ მეფის სულიერი მემკვიდრე გახლდათ, გელათის რესტავრაცია დაეგეგმა, ასევე, მახათას მთაზე პატრიარქის სავარძელში მოკალათებულიყო, წმინდა თარიღებისადმი ავადმყოფური დამოკიდებულება გამოევლინა... მოგვიანებით, როდესაც უკრაინაში წასულ სააკაშვილს ჰკითხეს ეკლესიების დანგრევასთან დაკავშირებით, მან იკითხა, „რომელი ეკლესია დავანგრიე, გლდანის ფარდული? მე 600 ეკლესია აღვადგინე, სამება რომ მიიწერა ივანიშვილმა, ასე არ იყო, სამებაზე მოოქროვილი გუმბათი მე დავადგმევინე“...

– ეს მაშინ უბინძურესი კამპანია იყო, თეა თუთბერიძე და სხვები რომ ჩართეს, რა არ დაიწერა უწმინდესზე პირადად, მაშინაც კი საზოგადოება არ შეუშინდა, მეც ვმონაწილეობდი პროტესტის გამოხატვაში, იკრიბებოდნენ ჩვენი პოეტები, მწერლები, მეცნიერები ხან სად, ხან სად და სააკაშვილი მიხვდა, რომ თავზე დაემხობოდა ეს უზნეობა. ერთ მშვენიერ დღეს სააკაშვილმა შეაჩერა ანტიეკლესიური კამპანია. ეს მაგალითები ხალხს აღარ ახსოვს, ეს ხდებოდა იმის გამო, რომ ეკლესია რჩებოდა სააკაშვილის ავტორიტარული, პოლიციური რეჟიმისგან დამოუკიდებლად, საპატრიარქოს უნივერსიტეტმა არაერთი ადამიანი შეიფარა, რომელიც განდევნეს და ჩარეცხეს სააკაშვილის მიერ კონტროლირებადი უნივერსიტეტებიდან, პატრიარქი მზრუნველობდა პოლიტპატიმრებზე. ეს ბრძოლა სულ იყო და ეს ბრძოლა გვახსენებდა შუასაუკუნეებში ევროპაში გაჩაღებულ ბრძოლას საერო ხელისუფლებასა და რომის პაპის ხელისუფლებას შორის. ეკლესია რომ გადარჩა ევროპაში, მერე უკვე ამან განაპირობა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

– საქართველოში ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ დასავლეთიდან გამოყოფილი გრანტები ჩვენი ეკლესიის საწინააღმდეგოდაა მიმართული. რატომ მონაწილეობენ ანტისაეკლესიო კამპანიაში ზუსტად ის არასამთავრობოები, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებიან?

– რაც შეეხება დასავლურ გრანტებს, არა მგონია, დონორების ამოცანა მაინცდამაინც ქართული ეკლესიის დანგრევა იყოს, მაგრამ ახლა ისეთი ტრენდია, რომ ლგბტ უფლებები წინ წამოწეულია. დღეს კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიები ცნობენ ლგბტ პირთა ქორწინებებს და ეკლესიებში აკურთხებენ ამ გაუგებარ კავშირებს. არ დამავიწყდება, საქართველოში ჩამოსულმა ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა, რომელიც საქართველოს კარგად იცნობდა, ერთხელ მითხრა, სამწუხაროდ, დასავლეთსა და ამერიკაში არ ესმით, რომ როდესაც რომელიმე ამერიკელი დიპლომატი საქართველოში სიტყვით გამოდის და იტყვის, რომ თქვენ უნდა ჩაატაროთ ლგბტ პარადი, მათ არ ესმით, პუტინმა მილიონებიც რომ დახარჯოს ანტიდასავლურ პროპაგანდაზე საქართველოში, ამერიკელი დიპლომატის ეს ერთი განცხადება უფრო მეტს აკეთებს პუტინის სასარგებლოდ, ვიდრე პუტინის მილიონები. ანუ დასავლელი დიპლომატები თვითონ აკეთებენ პუტინის საქმეს და არ ესმით, რომ უნდა გაითვალისწინონ მოცემული ერის ტრადიციები, კულტურა, მენტალიტეტი, რელიგია. სამწუხაროდ, ამის გაგება დასავლეთში უჭირთ. ერთიანი მიდგომა აქვთ დასავლეთში, როცა დამკვიდრებულია ერთიანი მიდგომა, მორჩა და გათავდა. ავიღოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ რეციდივისტ და ნარკომან ჯორჯ ფლოიდს მთელი ამერიკა რაცხავდა, როგორც წმინდანს. კაცმა, რომელმაც უამრავი დანაშაული ჩაიდინა, ბოლოს ორსული ქალი გაძარცვა, პისტოლეტი მიაჭერინა მის მუცელს და ისე ძარცვავდა, ეს ნარკოტიკებით გაჟღენთილი ადამიანი როცა გარდაიცვალა პოლიციის მიერ დაკავების დროს, ოქროს კუბოთი დამარხეს და ამერიკელი ყველა ეპისკოპოსი და სამღვდელო პირი ქვითინებდა, ჯორჯ, შენ ნამდვილი წმინდანი და წამებული ხარ. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სხვანაირი დროა.

გლდანის ეკლესიის დარბევა. 2004წლის 12 მარტი.

– თავის დროზე „შეშლილი მსოფლიო“ უწოდეს ოქროს ციებ-ცხელებით დაავადებულ ადამიანებს, ახლაც შეშლილია მსოფლიო, ოღონდ ლგბტ-ობით ჩაიციკლნენ?

– არა მარტო ლგბტ-ობით, ევროპის წამყვანი უნივერსიტეტებიდან გამოსული სტუდენტობა, მათ შორის, ეთნიკური ევროპელები, თეთრკანიანები, ქრისტიანები, ასევე, ჰარვარდის და სხვა წამყვან უნივერსიტეტებში ნასწავლი ახალგაზრდები დგანან და ყვირიან, „ჰამას, ჰამას“, ანუ მოითხოვენ, რომ განადგურდეს ისრაელის სახელმწიფო და მხოლოდ პალესტინა უნდა იყოს მის ადგილას. ამის გამო გაერომ ვერ მიიღო რეზოლუცია „ჰამასის“ ტერორისტული აქტის დაგმობისთვის, ხმები არ ეყო. თუმცა ისიც ფაქტია, რომ დონორები, არასამთავრობოები, ოპოზიცია ვერაფერს მიაღწევენ ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანიით. პირიქით, ძალთა თანაფარდობა საქართველოში ისეთია, ნებისმიერი ასეთი თავდასხმა ეკლესიასა და უწმინდესზე უფრო აძლიერებს ეკლესიას. უწმინდესი გახდა ადამიანი – სიმბოლო. დასავლეთის წამყვან მოაზროვნეთა მიერ აღიარებულია, რომ ადამიანის უდიდესი დანიშნულებაა, როცა ის სიმბოლო ხდება. უწმინდესი გახდა სიმბოლო სიცოცხლეშივე. რაც არ უნდა შეთხზან და გამოაქვეყნონ მის წინააღმდეგ, თავად დაემხობათ თავზე, ვინც ამას აკეთებს. სწორედ, ამიტომ, თავის დროზე, სააკაშვილს ჭკუა ეყო ჰარაკირს ვიკეთებო და ერთ დღეში დაასრულა საშინელი კამპანია პატრიარქის მიმართ.

არავინ არ იფიქროს, რომ უცხოელი დონორები გაწერდნენ თავიანთ გეგმებში, მოდით, წავაქციოთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, დავუკარგოთ მას ნდობა, ეს შეთქმულების თეორიაა, უცხოელ დონორებს აქვთ ერთიანი მიდგომა, მაგალითად, ახლა პოპულარულია მემარცხენეების მოძრაობა, რომ უნდა გავიუღინოთოთ იმის შეგნებით, რომ ჩვენ, ყველანი, თეთრკანიანები ვართ დიდ ვალში და დამნაშავენი შავკანიანების მიმართ, საერთოდ, ვინც კი დაჩაგრულია, ამის ტვირთი აწევთ ჩვენს თეთრკანიან მამებს და პაპებს. საქართველოში არასდროს არ ყოფილა მონათმფლობელობა, არასდროს არ ჩამოგვიყვანია ქართველებს მონები აფრიკიდან, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, თეთრკანიანები ხომ ვართ, ასეთი ტრენდებია მთელ მსოფლიოში გაბატონებული, ამიტომ თურმე ჩვენც უნდა მოვინანიოთ. დასავლეთში მუშაობენ პატიოსანი, მაღალი დონის მეცნიერები, სოციალური ფსიქოლოგები, ანთროპოლოგები და სწავლობენ ასეთ მიმდინარეობებს.

წლების წინათ ევროკომისიის ფორმირება რომ ხდებოდა, ყველა ქვეყანას ეკუთვნოდა კომისრის ერთი პორტფელი, მაშინ 28 ქვეყანა იყო და 28 კომისარი არსებობდა. კომისრის თანამდებობაზე იტალიელი იყო წარდგენილი, ცნობილი იურისტი, შეკითხვა იყო ასეთი, თქვენ აღიარებთ თუ არა ლგბტ პირთა ქორწინებას? მან თქვა, არავითარ შემთხვევაში, მე ვარ მორწმუნე კათოლიკე, ამას არასდროს არ შევეგუები და არ ვაღიარებ. ასეთი გულახდილი პასუხის შემდეგ იტალიელი არ დაამტკიცეს ევროკომისრად და ამის გამო საერთოდ არ დაამტკიცეს წარდგენილი კაბინეტი. ეს არის დღევანდელი მსოფლიოს ტრენდი.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

UNITED STATES
EUROPEAN COMMAND

აშშ-ის ევროპული სარდლობა:

საქართველო აქტიურად უწყობს ხელს რეგიონულ სტაბილურობას

დიახ, „საქართველო აქტიურად უწყობს ხელს რეგიონულ სტაბილურობას“, – ასე პასუხობს აშშ-ის ევროპული სარდლობა **„აქცენტის“** კითხვას შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში საქართველოს შესახებ.

როგორც სარდლობაში აცხადებენ, „აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და საქართველოს თავდაცვის ძალებთან უსაფრთხოების კუთხით ძლიერი კავშირები აქვს“.

„საქართველო აქტიურად უწყობს ხელს რეგიონულ სტაბილურობას NATO-ს ინიციატივებსა და წვრთნებში მონაწილეობითა და სამხრეთ კავკასიაში თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამოყენებით ენერგეტიკული მარშრუტების დასაცავად და უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევების მოსაგვარებლად. ეს პარტნიორული ურთიერთობები სასარგებლოა NATO-სა და ევროპისთვის, რადგან ეფუძნება სანდო პარტნიორობას, რომელიც ხელს უწყობს უსაფრთხოების, სტაბილურობის და საერთო ღირებულებების განმტკიცებას კომპლექსურ გეოპოლიტიკურ გარემოში“, – აცხადებენ სარდლობაში.

შავი ზღვის რეგიონის გაძლიერება

23 იანვარს შეერთებული შტატების არმიის გენერალმა კრისტოფერ კავოლიმ აშშ-ის ევროპულ სარდლობასთან (USEUCOM) და ელჩებთან შეხვედრა გამართა რუმინეთში, რომლის მთავარი თემა შავი ზღვის რეგიონის გაძლიერება იყო.

„რუსეთის შეჭრამ უკრაინაში შეცვალა უსაფრთხოების გარემო შავი ზღვის რეგიონში. რეგიონს აქვს კრიტიკული გეოსტრატეგიული მნიშვნელობა USEUCOM-ისთვის, ჩვენი მოკავშირეებისა და პარტნიორებისთვის. ამ კონფერენციამ ამერიკის დიპლომატიური და სამხედრო ლიდერები შავი ზღვის რეგიონის კოლექტიური ტერიტორიული უსაფრთხოების გაძლიერებაზე სასაუბროდ შეკრიბა“, – განაცხადა კავოლიმ.

როგორც USEUCOM-ში აცხადებენ, შეხვედრის მიზანი იყო, განეხილათ აშშ-ის მთავრობის მხარდაჭერა ამერიკის მოკავშირეებისა და პარტნიორებისადმი შავი ზღვის რეგიონში მზარდი საფრთხეებისა და გამოწვევების ფონზე.

„ჩვენ სერიოზულად ვითვალისწინებთ უსაფრთხოების საერთო ვალდებულებას და ვმუშაობთ უსაფრთხო, აყვავებული და ურთიერთდაკავშირებული შავი ზღვის რეგიონის დაბრუნებაზე, რომელიც ხელს უწყობს მყარ გლობალურ ვაჭრობას. ჩვენი მდგრადი სტრატეგიული ურთიერთობები ამ ქვეყნებთან არის კოლექტიური თანამშრომლობის საფუძველი. ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ ჩვენს მოკავშირეებთან და პარტნიორებთან, რათა უზრუნველვყოთ ნავიგაციის თავისუფლება, ინვესტიციები, რომლებიც აძლიერებს ეკონომიკურ შესაძლებლობებს და მდგრადობას ამ კრიტიკულ რეგიონში“, – განაცხადა USEUCOM-ის წარმომადგენელმა, ელჩმა ქეით გაირნსმა.

დისკუსიას ესწრებოდნენ აშშ-ის მდივნის თანაშემწე ევროპასა და ევრაზიის საკითხებში ჯეიმს ო'ბრაიენი, უკრაინაში აშშ-ის ელჩი ბრიჯიტ ბრინკი, საქართველოში აშშ-ის ელჩი რობინ დანიგანი, თურქეთში ამერიკის ელჩი ჯეფრი ფლეიკი, ასევე, შტატების ელჩი სომხეთში კრისტინა კვიენი, ამერიკის ახალი ელჩი აზერბაიჯანში მარკ ლიბი. ასევე ამერიკის ელჩები მოლდოვაში, რუსეთის ფედერაციაში და აშშ-ის მისიის უფროსის მოადგილე ბულგარეთში ანდრეა ბრუილეტ-როდრიგესი.

ჩვენი მიწა-წყლის საერთაშორისო მისია

„აშშ საქართველოს კრიტიკულ პარტნიორად მიიჩნევს“

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ჯეიმს ო'ბრაიენმა, რომელიც 23 იანვრის შეხვედრას ესწრებოდა, 25 იანვარს აშშ-ის გერმანული მარშალის ფონდში გამართულ დისკუსიაზე შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში, მათ შორის საქართველოზე ისაუბრა.

როგორც მან „ამერიკის ხმის“ შესაგამისი კითხვის საპასუხოდ განაცხადა, აშშ საქართველოს შავ ზღვაში უსაფრთხოების თვალსაზრისით კრიტიკულ პარტნიორად მიიჩნევს.

„საქართველოში აშშ-ის ელჩი იყო ჩემთან ერთად რუმინეთში, როდესაც შავ ზღვასთან დაკავშირებული საკითხები განვიხილეთ და ჩვენ საქართველოს შავ ზღვაში უსაფრთხოების თვალსაზრისით კრიტიკულ პარტნიორად მივიჩნევთ. თუ გადახედავთ რა ხდება, ნახავთ, რომ ამჟამად ცენტრალური აზიის ქვეყნები ეძებენ სავაჭრო გზებს, რომლებიც არ არის მხოლოდ ჩინეთი ან რუსეთი და მათ ააშენეს დიდი ინფრასტრუქტურა რუსეთის გავლით, ახლა მათ სხვა ინფრასტრუქტურის აშენება სურთ. ეს ნიშნავს, რომ სავაჭრო გზა გაივლის კასპიის, აზერბაიჯანის და შემდეგ კი საქართველოს გავლით“, – განაცხადა მან.

მისი თქმით, აშშ კვლავ იმუშავებს ევროკავშირთან შავ ზღვაში სავაჭრო კავშირების ხელშეწყობის მიზნით, „რადგან ეს არის ფუნდამენტური პარტნიორობა“:

„ჩვენ კვლავ ვიმუშავებთ ევროკავშირთან და სწორედ ამის ხელშეწყობას ვაპირებთ. მომავალ კვირას ბრიუსელში გაიმართება კონფერენცია სავაჭრო შესაძლებლობების დაფინანსების შესახებ. მას მასპინძლობს EIB, EBRD... ასე რომ, ეს მართლაც მნიშვნელოვანია“.

როგორც მან აღნიშნა, შავი ზღვა გახდება ეკონომიკური ჩართულობის იმაზე უფრო აქტიური ზონა, ვიდრე ადრე იყო:

„აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და რუმინეთს შორის გათხევადებული აირის ტერმინალების მშენებლობა დასრულდება, ასევე იქნება წყალქვეშა კაბელი და ა.შ. ასე რომ, შავი ზღვა გახდება ეკონომიკური ჩართულობის იმაზე უფრო აქტიური ზონა, ვიდრე ადრე იყო“.

მან შავი ზღვის კონტექსტში საქართველოში მიმდინარე წლისთვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობაზე ისაუბრა: **„ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ამ ფართო სპექტრის ქვეყნებში ჩართულობის წესები საკმაოდ ნათელია ყველასთვის, მათ შორის რუსეთისთვის. ჩვენ ამას გავაკეთებთ საქართველოსთან ერთად. თქვენ გაქვთ ძალიან მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნები წელს. ჩვენ მტკიცედ ვუჭერდით მხარს საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიას. ჩვენ ვაპირებთ ვიმუშაოთ მისიასთან და, გულწრფელად რომ ვთქვათ, რეალურად აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებასთან საქართველოში, რათა დავინახოთ, რომ არჩევნები კარგად ჩაივლის. რადგან ვიცით, რომ საქართველოს მოქალაქეების 85%-ზე მეტი მუდმივად ამბობს, რომ რეფორმები და ევროკავშირში გაწევრება სურს. ეს არის ის, რასაც ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ“.**

გარდა ამისა, ჯეიმს ო'ბრაიენმა საქართველოს მთავრობის მიერ გაწეულ ძალისხმევაზეც ისაუბრა: **„საქართველოს მთავრობამ ნამდვილად გასწია ძალისხმევა რეფორმების განსახორციელებლად, განსაკუთრებით ბოლო თვეების განმავლობაში და ჩვენ ვაფასებთ იმას, რაც მათ გააკეთეს. ჩვენ ვაფასებთ იმას, რაც მათ გააკეთეს, სანქციების გვერდის ავლისგან თავიდან ასაცილებლად მრავალი აქტივობის შეზღუდვით. ვფიქრობ, არსებობს ოპტიმიზმის საფუძველი, რომ საქართველო იქნება ამ გარემოს მთავარი კონტრიბუტორი. ჩვენ ახლა ვიცით, რომ რუსეთი დიდ ინვესტიციას დებს საკუთარ ნოვოროსიისკის პორტში. ის ინვესტიციას ახორციელებს ან ართმევს უკრაინას პორტებს. მან აიღო რამდენიმე უკრაინის პორტი. ასე ცდილობენ მათ გამოყენებას და აფხაზეთში ინფრასტრუქტურის აშენებას. ეს იქნება ის, რაზეც ჩვენ უნდა ვიმუშაოთ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, მაგრამ ჩვენ ამას გავუმკლავდებით იმიტომ, რომ ამ 10 ქვეყანას უბრალოდ მეტი მშვიდობა და კეთილდღეობა სურს შავ ზღვაში ვითარების უსაფრთხო გადაწყვეტისგან და ეს არის ის, რაზეც ჩვენ ვიმუშავებთ“.**

რა თქვა საქართველოში აშშ-ის საელჩომ

25 აინვარს საქართველოში აშშ-ის საელჩო გამოეხმაურა შავი ზღვის რეგიონში კოლექტიური ტერიტორიული უსაფრთხოებისა და აშშ-ის მოკავშირეებისა და რეგიონული პარტნიორების მხარდაჭერის სტრატეგიების განსახილველად ბუქარესტში 23 იანვარს გამართულ შეხვედრას, რომელზეც ელჩი დანიგანი აშშ-ის მაღალი რანგის სხვა დიპლომატებთან და სამხედროებთან ერთად იმყოფებოდა.

„შავი ზღვა უმნიშვნელოვანესია გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობისთვის, რაც ხელს უწყობს ვაჭრობასა და ენერგეტიკულ ნაკადებს ევროპას, ევრაზიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოსთან მუშაობას ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად“, – ნათქვამია საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ორგზის შერეკილები

(ფესამე გვერდიდან)

„ფაქტია, რომ ქალბატონი თინა ფინანსდება ტაივანის მიერ. არის ოფიციალური ფონდები და გასაგებია, რომ სწორედ ამ დაკვეთიდან გამომდინარე, ის ცდილობს საქართველოში ანტიჩინური განწყობები გააღვივოს. საინტერესოა, აღიარებს თუ არა ქალბატონი თინა ჩინეთის ტერიტორიულ მთლიანობას და რა დამოკიდებულება აქვს ტაივანის მიმართ, რომლისგანაც ის ფულს იღებს“. ეს კითხვები აწუხებს პარლამენტის თავმჯდომარეს შალვა პაპუაშვილს და სხვებს და, როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ.

პირდაპირ თმეგი ყალყზე დაგიდგება: იქით პარტია „დროას“ თავმჯდომარე, რუსეთის და ყველაფერ რუსულის თავგადაკლული მოწინააღმდეგე ელენე ხოშტარია რუსული ეკონომიკური ძროხის ძუძუს არის დაწაფეგული და წოვს და წოვს... ახლა ენერგოშინაკი ნამინისტრალი თინა ხიდაშელის ამგვარ გაირკვა, თურმე ტაივანიდან (სად და როგორ გამოძეგნა, კაცო?) უჩუმრად ფულს რომ იღებს და სამაგიეროდ, საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირე ჩინეთს უდგას კრიჯაში, რაც ცალკე პროგლემაა ჩვენი უსაფრთხოებისთვის!

ახლა კიდევ ერთი ამბავი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ოპოზიციის გამარჯვებას და მმართველი პარტიის დამხობას: „წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა“ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოში განხორციელებული ვიზიტების შესახებ, რომელშიც „ვივამედის“ კლინიკაში არსებული ვითარებაა შეფასებული. დოკუმენტში პაციენტ მიხეილ სააკაშვილის შესახებაც არის საუბარი. დოკუმენტის მიხედვით ერთი სერიოზული ნაკლი ყოფილა ის, რომ კლინიკაში არ მუშაობდნენ არც ფსიქიატრი და არც ფსიქოლოგი. დარღვევად მიჩნიათ, რომ სააკაშვილის პალატაში არსებულა 3 ვიდეოკამერა, რომელთაგან ერთი მუდმივად იღებდა საწოლს. თურმე, ეს არა მხოლოდ არღვევს პატიმრის კონფიდენციალობის უფლებას, არამედ, მისი ადამიანური ღირსების უპატივცემულობაცაა...

ეს დასკვნა სიგნალად იქცა მინავლული ოპოზიციისთვის ახალი ყაყანის ასატეხად. ნაცმოძრაობის ხაგეიშვილმა უმალ დააღო დოღრიალა საინფორმაციო ღრუ, კომიტეტი წერს, რომ სააკაშვილს დამამცირებლად ექცევიანო და „მივმართავ რუს ოლიგარქს, შეშინებულ და სოროდან გამომძვრალ გიძინა ივანიშვილს, თუ არ გეშინია, თუ მუხლები არ გიკანკალებს, გაათავისუფლე პრეზიდენტი და საშუალება მიეცი, ესაუბროს ხალხს“.

სააკაშვილს თუ ხალხთან საუბარი აკლია და ღმერთი არ ყოფილა!.. ხაგეს, ალბათ, უშუალოდ მიტინგიდან საუბარი აქვს მხედველობაში. საერთოდ, ამ კაცისთვის რამის შეგონებას აზრი არა აქვს, ამიტომ უფრო მისი შედარებით გონიერი გარემოცვის იმედად ვრჩები, აუხსნან თავიანთ ხელმძღვნელს, რომ არჩევნები არჩევნებია, მაგრამ ასეთი ტონით საუბარი თავის მთავარ კონკურენტთან, უპირველეს ყოვლისა, მის პარტიას უგდებს რეიტინგს, თვით მას კი ზუსტად წარმოაჩენს, როგორც ბრიყვსა და ხეპრეს.

დღეს, როგორც მოგახსენეთ, ოპოზიციაში ტვინების დიდი უძრაობაა, იგონებენ გუშინდელ „სიახლეებს“, რომლებშიც, კაცმა რომ თქვას, სიახლე, ნოვატორული და სასარგებლო არაფერია. საზოგადოებაში დაძრწის ერთგვარი შიში, ვაითუ, როცა ნიკა გვარამია, ნიკა მელია და სალომე ზურაბიშვილი გაგვიმხელენ თავიანთ მთავარ რევოლუციურ, ქვეყნის ამშენებელ თუ დამაქცევარ გეგმას, მაშინ საბოლოოდ ჩამოვყაროთ ყურები, საბოლოოდ ხელმოცარულები დავრჩეთო.

ზოგი საჯაროდ (ამდენად, თითქოს გულწრფელად) წუხს, რომ ქვეყანაში ხმაურიანი მოძრობა, ჰაი-ჰუი არ შეიმჩნევა, მაგრამ თვითონ ძალა არ მოსდგამს მომლოდინე ხალხს რაიმე ახალი და ნოყიერი მიაწოდოს, დღიურში ძველ ჩანაწერებს უტრიალებს. თაკო ჩარკვიანმა ლამის კივილით შეუტია თანამებრძოლთ: „არ გავიდეთ გარეთ? არაა??? არ დავყაროთ კარვები და ლეიბები??? რატომ??? პოლონეთში ჩვენზე ნაკლებად მოაზროვნენი არიან, დრამატულ თეატრთან რომ 300 „მატრასი“ – ლეიბი დაყარეს?“

ისე, ლეიბების დაყრა მაგალითად პარლამენტის წინ, თაკო ჩარკვიანის ერთგვარი იდეაფიქსია. მაგრამ ვერც ადრე წამოაწვინა ხალხი რუსთაველზე, ახლა კი, ამ გაგანია ზამთარში, მით უფრო გაუჭირდება. და საერთოდ, ოპოზიციას გვერდად მეტი, არსებითად სხვა რამ სჭირდება, ვიდრე ლეიბები, საგნები და გალიშვილია...სჭირდება გონიერება, ერთობა, მოთმინება და ამტანობა, რასაც ვერა და ვერ შესწვდნენ...

ვერც ხვალ შესწვდებიან!

ალეკო ასლანიშვილი

ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ!

ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘᲐ!

ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲚᲐᲜᲡᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲨᲘᲪ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ. ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ.

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲗᲣᲚᲓᲔᲑᲐ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲠᲩᲔᲑᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜ ᲛᲝᲖᲘᲓᲕᲘᲡᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲘᲜᲡᲘᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ **ᲖᲕᲘᲐᲓ ᲗᲝᲗᲘᲫᲔ** ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲗᲝᲗᲘᲫᲔᲛ ᲘᲛᲘᲗ ᲐᲮᲡᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲘᲛᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ.

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲛᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ �თᲣᲠᲥᲔᲗᲘᲓᲐᲜ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲓᲐᲜ, ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲣᲐ ᲐᲖᲘᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲑᲘ. ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲔᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲕᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ.

„ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ, �თᲣᲠᲥᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲰᲧᲐᲕᲗ. ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ �თᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲓᲔᲕᲐᲚᲕᲐᲪᲘᲐ ᲘᲧᲝ, ᲨᲔᲡᲐᲒᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲰᲓᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲧᲕᲐᲜᲐ. ᲒᲐᲛᲘᲒᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲓᲐᲜ, ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲣᲐ ᲐᲖᲘᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲨᲔᲛᲝᲰᲧᲐᲕᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘ. ᲛᲔ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲪᲣᲓᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲓᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲩᲐᲐᲜᲪᲕᲚᲝᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗ, ᲣᲤᲠᲐᲚᲝᲓ, ᲗᲣ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲰᲓᲔᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ **ᲖᲕᲘᲐᲓ ᲗᲝᲗᲘᲫᲔ** „ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ.

ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲨᲔᲥᲜᲘᲚ ᲠᲗᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲪ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲕᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ, **ᲚᲐᲨᲐ ᲯᲝᲯᲣᲐᲡ** ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ 20-40% ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ.

„ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲜᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲬᲕᲘᲐ. ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲗ, ᲠᲐ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐᲐ ᲘᲛ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ. ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲐ. ᲛᲐᲗ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲡ, ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ, ᲔᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲛᲕᲘᲧᲣᲒᲜᲝᲗ. ᲐᲮᲚᲝ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲘᲜᲔᲑᲐᲐ. ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘᲠᲓᲔᲡ. ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘᲗ ᲘᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲧᲕᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲓᲔᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲡᲐᲒᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲛᲝᲛᲫᲠᲐᲝᲜ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲔᲬᲘᲜᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲘᲛ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ, ᲠᲐ ᲤᲝᲠᲛᲘᲗᲐᲪ ᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ, ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘᲐ. ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲐ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ **ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ**.

Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲪᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲛᲘᲚᲘ. ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲐ. ᲛᲐᲗ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲡ, ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ, ᲔᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲛᲕᲘᲧᲣᲒᲜᲝᲗ. ᲐᲮᲚᲝ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲘᲜᲔᲑᲐᲐ. ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘᲠᲓᲔᲡ. ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘᲗ ᲘᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲧᲕᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲓᲔᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲡᲐᲒᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲛᲝᲛᲫᲠᲐᲝᲜ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲔᲬᲘᲜᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲓᲐᲯᲐᲠᲘᲛᲓᲔᲑᲐ 100 ᲚᲐᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲣᲚᲐᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲨᲔᲣᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ 5 ᲥᲣᲚᲘᲗ.

ᲒᲔᲓᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

„ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲕᲣᲥᲛᲜᲘᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲙᲐᲓᲠᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ ᲕᲨᲝᲣᲚᲝᲑᲗ. ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲡᲛᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲛᲔᲯᲔ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲖᲔ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲘᲡᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲐᲥ ᲕᲔᲠ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ.

ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ. ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲔᲑᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲡᲣᲠᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲕᲘᲦᲔᲑᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲗ. ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲞᲘᲠᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲑᲘᲜᲐᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ **ᲒᲔᲤᲔᲠᲘᲜᲘᲫᲔ**.

ᲕᲔᲠ ᲐᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲔᲑᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲕᲔᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲖᲘᲓᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ.

„ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲕᲣᲥᲛᲜᲘᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲙᲐᲓᲠᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ ᲕᲨᲝᲣᲚᲝᲑᲗ. ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲡᲛᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲛᲔᲯᲔ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲖᲔ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲘᲡᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲐᲥ ᲕᲔᲠ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲐᲚᲤᲐᲡᲘᲐᲜ ᲓᲘᲡᲙᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲐᲬᲧᲝᲛᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲖᲔ ᲛᲐᲡ ᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔᲑᲔᲜ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲔᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘᲪ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲨᲔᲛᲝᲕᲐ.

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲖᲔ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲒᲕᲐᲠᲘᲓᲔᲑᲡ. ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲐᲕᲘᲦᲝᲗ, ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ 5%-ᲛᲓᲔ ᲩᲐᲛᲝᲛᲓᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲐ�გᲖᲐᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲥᲛᲜᲘᲡ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲜᲔ�გᲐᲢᲘᲣᲠ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲧᲝ. ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲕᲐᲛᲛᲝᲛᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲣᲠᲗᲝᲣᲚᲔᲡᲘ. ᲨᲔᲡᲐᲒᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲢᲧᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲝᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲧᲘᲜᲣᲚ ᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲔᲑᲖᲔ ᲤᲘᲤᲥᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲝᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲨᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

თᲣᲛᲪᲐ, ᲩᲔᲛᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲔᲑᲡ ᲯᲐᲭᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲩᲐᲕᲗᲕᲚᲘᲓᲘᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲯᲐᲭᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ **ᲛᲔᲚᲐᲫᲔ**.

ᲨᲘᲜᲐᲒ

„ბუნკერების ბუმი“

მილიარდერები პოტენციური აპოკალიფსისგან თავის დასაცავად საიმედო ბუნკერების მშენებლობაზე მილიონობით დოლარს ხარჯავენ. მედიაში უკვე აღარ არის ცუდი ტონი ფუტურისტული სცენარების განხილვა, პოლიტიკოსები კი კატასტროფის აცილების დაპირებით ამომრჩევლების გულებს იგებენ.

პანდემიის, კლიმატური კრიზისის, რუსეთ-უკრაინისა და ახლო აღმოსავლეთის ომების, კორეის ნახევარკუნძულსა და ტაივანის სრუტეში დაძაბულობის შემხედვარე, მსოფლიო სულ უფრო და უფრო მეტს საუბრობს „აპოკალიფსისმაგვარი მოვლენისა“ თუ მესამე მსოფლიო ომის, ბირთვული ომის რისკებზე.



META-ს მეთაური და პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, მარკ ცუკერბერგი (ზაკერბერგს) ჰავაიზე აშენებს საიდუმლო ობიექტს ბუნკერით 270 მლნ დოლარის ღირებულებით.

აპოკალიფსისა და მესამე მსოფლიო ომის მოლოდინში

„მოვლენა“

მწერალი, მედიის თეორეტიკოსი დუგლას რუშკოფი საზოგადოებაზე ტექნოლოგიების გავლენას სწავლობს, ამაზე წერს და ციფრული კულტურის „განმაადამიანებელ შედეგებს“ აკრიტიკებს.

ამბობს, მე, მარქსისტი, მედიის თეორეტიკოსი კი ვწერ კაცობრიობის მომავლის სცენარებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრს წინასწარმეტყველი ვგონივარ და რჩევებს მეკითხებიან – ძირითადად, იმაზე, თუ რომელ ტექნოლოგიურ სექტორში დაიბანდონ ფულიო.

დუგლას რუშკოფი

მწერლის თანახმად, ძირითადად, რჩევების მიცემაზე უარს ამბობს, მაგრამ ზოგჯერ, როცა ჩემი ინტერესიც და მათი შემოთავაზებული ფულიც მაღალია, ვხვდები ასეთ ხალხს და ველაპარაკებიო.

2022 წელს გამოცემულ წიგნში, „მდიდრების გადარჩენა“, რუშკოფი იხსენებს, როგორ სთხოვეს ერთხელ საუბარი და დაუთქვეს გასაიდუმლოებული შეხვედრა „უკიდურესად მდიდარმა დაინტერესებულმა პირებმა“ – შუაგულ უდაბნოში!

ლაპარაკი რომ დავიწყე, რეაქციებზე შევატყვე, რომ ამ ხუთ კაცს ტექნოლოგიის მომავალზე ჩემი ლექციის მოსასმენად არ ვყავდი მოწვეული და თავიანთ კითხვებზე პასუხები აინტერესებდათო, წერს. აი, მისი თქმით, რა ჰკითხეს მასპინძლებმა:

„ჯერ დაიწყეს: „ბიტკოინი თუ ეთერიუმი? VR-ი თუ AR-ი? ვისი იქნება პირველობა კვანტურ გამოთვლებში, ჩინეთის თუ გუგლის?“ მაგრამ, როგორც იქნა, იმაზეც მკითხეს, რაც მართლა აინტერესებდათ: **„ახალი ზელანდია თუ ალიასკა? რომელ რეგიონს შეეხება მოსალოდნელი კლიმატური კრიზისი ყველაზე ნაკლებად?“.**

კითხვები ამის შემდეგ გაუარესდა: **„გლობალური დათბობა თუ ბიოლოგიური ომი? რამდენ ხანზე უნდა დაგეგმოს ადამიანმა გარესამყაროსგან სრულიად მოწყვეტით, დახმარების იმედის გარეშე ცხოვრება? თავშესაფარს ჰაერის მიწოდების საკუთარი სისტემა უნდა ჰქონდეს თუ არა? მიწისქვეშა წყლების დაბინძურების საფრთხე როგორი იქნება?“**

როგორც რუშკოფი წერს, ბოლოს ერთ-ერთმა აღიარა, ახლახან დავასრულე ჩემთვის ბუნკერის სისტემის მშენებლობა და მაინტერესებს, **„მოვლენის“ შემდეგ** უსაფრთხოების სისტემაზე კონტროლი როგორ შევინარჩუნო, – როგორ ვქნა ისე, რომ ჩემი უსაფრთხოებისთვის ჩემივე დაქირავებული ხალხი ასეთ აპოკალიპტურ სცენარში მე არ დამიპირისპირდეს?!.

„მოვლენა“ ევფემიზმი იყო. გარემოს კოლაფსის, სოციალური არეულობის, ბირთვული აფეთქების, „მზის შტორმის“, შეუჩერებელი ვირუსის ან რაიმე კომპიუტერული ვირუსის ევფემიზმი“, – ამბობს მწერალი.

„მილიარდერების ბუნკერები“

სიტყვათშეთანხმება „მილიარდერების ბუნკერები“ 2010-იან წლებში ჩნდება გუგლის საძიებო სისტემაში.

ჯერ კიდევ 2013 წელს ამერიკული ჟურნალი „ფორბსი“ წერდა, რომ კომპანია SAFE-ი – „სტრატეგიულად შეიარაღებული და გამაგრებული გარემო“, – ოთხ კონტიტენტზე უშენებდა კერძო მეპატრონეებს ძვირადღირებულ თავშესაფრებს. ახლა ასეთი ბევრი კომპანია არსებობს.

10 წლის შემდეგ, 2023 წლის დეკემბერში, ამერიკული გამოცემის, WIRED-ის, ჟურნალისტური გამოძიება აჩვენებს, რომ ბუნკერს „ფეისბუკის“ დამფუძნებელი მარკ ზაკერბერგიც აშენებს.

ჟურნალისტური გამოძიების თანახმად:

- ზაკერბერგს ჰავაის კუნძულებზე აქვს მშენებლობა დაწყებული - 270 მლნ აშშ დოლარის ღირებულების სასახლეს იშენებს;
- 566 ჰექტარზე გადაჭიმული სამშენებლო პროექტი გასაიდუმლოებულია, გადაღება – აკრძალული;
- სამშენებლო პროექტი 600 კვ მეტრის ფართობის მიწისქვეშა თავშესაფარსაც მოიცავს.

ჟურნალისტურ გამოძიებასა და მედიაში „ბუნკერზე“ სტატიების შემდეგ, მარკ ზაკერბერგმა ფეისბუკზე გამოაქვეყნა ვიდეო, სათაურით „როცა ცოლი „ბუნკერში“ გამოგიჭერს“. ვიდეოში ჩანს, როგორ შედის მისი ცოლი, პრისცილა ჩენი დიდ ოთახში, სადაც კინოთეატრის მსგავსი სივრცეა მოწყობილი და ზაკერბერგი მეგობრებთან ერთად ვიდეოთამაშს თამაშობს.

ეს იგივე ტერიტორიაა, სადაც ზაკერბერგმა სულ ახლახან დაასრულა ძროხების ფერმის მშენებლობა. 10 იანვარს ფეისბუკზე დაწერა, რომ იგი ახლა აწარმოებს „მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხარისხის საქონლის ხორცს“, – და ცხოველებს კვებავს მხოლოდ ადგილზე მოყვანილი საკვებით.

მოგვიანებით, კითხვაზე, რა მიზნით აშენებს მიწისქვეშა თავშესაფარს, ზაკერბერგის სპიკერმა სხვა გამოცემას, Time-ს უთხრა, რომ ჰავაის ადგილობრივი ხელისუფლება ახალისებს თავშესაფრიანი სახლების მშენებლობას და „ხელისუფლებამ ორი ათწლეულის წინ დაიწყო მოსახლეობისთვის გადასახადების შემცირება, თუკი ქარიშხალგამძლე ოთახებს ააშენებენ“.

სამიზნე: ახალი ზელანდია

მაგრამ ზაკერბერგი ერთადერთი არ არის – და არც ჰავაია ერთადერთი პოპულარული ადგილი ასეთი გეგმებისათვის.

PayPal-ის დამფუძნებელმა, ფეისბუკის ერთ-ერთმა პირველმა ინვესტორმა, მილიარდერმა პიტერ ტიელმა ახალ ზელანდიაში წამოიწყო „ბუნკერის მსგავსი“ უზარმაზარი სახლის მშენებლობა.

საბოლოოდ, მას ნაკლებად გაუმართლა, რადგან 2022 წლის აგვისტოში ქალაქის ადგილობრივმა საბჭომ სამშენებლო პროექტი დაიწუნა და თქვა, რომ გარემოზე „გამოუსწორებელი უარყოფითი გავლენა“ ექნებოდა.

პიტერ ტიელი ცნობილი „ალარმისტია“. მისი მეგობარი, OpenAI-ის დამფუძნებელი სემ ალტმენი ამბობდა, რომ ტიელი სერიოზულად განიხილავდა „პანდემიის ან გლობალური საზოგადოებრივი კოლაფსის“ შემთხვევაში ახალ ზელანდიაში გადაფრენას. მისი ეს გეგმები ამჯერად შეჩერებულია. მაგრამ ახალი ზელანდია, – რომელსაც ბევრი მიიჩნევს „იდეალურ ადგილად აპოკალიპტური მოვლენის შესახვედრად“, – ახლა სილიკონის ველის ელიტების ბუნკერებითაა გაჟღენთილიო, წერს გამოცემა Wired-ი.



არა მხოლოდ მილიარდერები

მილიარდერები გრანდიოზულ „ბუნკერებზე“ ფიქრობენ, მაგრამ ბაზარზე უფრო მიუჯეტური ვარიანტებიც არსებობს.

კომპანია Vivos-ი („ვივოსი“) კლიენტებს სთავაზობს უკვე აშენებულ ბუნკერებს „არეულობებისგან, ძალადობისგან, პოტენციური სამიზნეებისა და დატბორვადი ზონებისგან მოშორებით“.

კომპანია ამ პროექტს ყიდის, როგორც **„უდიდესი კერძო თავშესაფრების თემს მსოფლიოში“.** ერთი ეგაა, რომ „ვივოსის“ ბუნკერები უკვე აშენებულია აშშ-ში, სამხრეთ დაკოტაში.

ეს კომპლექსი შეერთებული შტატების საზღვაო ძალებმა ააშენა 1942 წელს, როგორც „სამხედრო ციხესიმაგრე“, 1967 წელს კი გაუქმდა. ათწლეულების შემდეგ, 2016 წელს, „ვივოს ჯგუფმა“ ვრცელი ტერიტორია შეისყიდა და მას ახალი დანიშნულება მოუფიქრა.

„ვივოსის“ დირექტორი დანკე ვიჩინო ამბობს, რომ „თემის წევრები არიან არა „ალარმისტები“ ან „ელიტარული 1%-ის წარმომადგენლები“, არამედ კარგად განათლებული, ჩვეულებრივი ხალხი, რომელსაც კარგად ესმის გლობალური მოვლენები და პასუხისმგებლობით უდგებიან თავიანთი ოჯახების კეთილდღეობას კატასტროფული მოვლენის შემთხვევაში“.

ვიჩინოს თქმით, მისი კლიენტების ეკონომიკური მდგომარეობაც განსხვავებულია და არიან „ინდივიდები საშუალო კლასიდან, ასევე, ძალიან მაღალი შემოსავლების მქონე ინდივიდები“.

მესამე მსოფლიო ომი?

ჰოლივუდში ათწლეულებია, „სამყაროს დასასრულზე“ თუ პოსტაპოკალიფსურ საზოგადოებებზე ფილმებს იღებენ, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადის, მძლავრდება შეგრძნება, რომ „არმაგედონში“, „შეშლილ მაქსში“ თუ „უკანასკნელ ჩვენგანში“ აღწერილი სცენარები სინამდვილედ შეიძლება იქცეს. ერთ-ერთ ყველაზე რეალისტურ ასეთ სცენარად ახლა მესამე მსოფლიო ომი გამოიყურება – პოტენციური ბირთვული ომი.

ამ განწყობების ექო მეინსტრიმულ მედიაშიც აღწევს; წააწყდებით სტატიებს, სადაც ხსნიან, რომელი ქვეყნებია პოტენციურად ყველაზე უსაფრთხო მესამე მსოფლიო ომის შემთხვევაში.

დიახ, ახალი ზელანდია მათ შორისაც არის. საქართველო – არა!

და პოლიტიკოსებიც ბევრს საუბრობენ „მესამე მსოფლიო ომზე“.

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ისრაელ კაცმა სულ ახლახან თქვა, რომ „ირანის მიერ ნასაზრდოები საშიში, რადიკალური ისლამური რწმენის წინააღმდეგ მესამე მსოფლიო ომი უკვე დაიწყო“.

მაგრამ ზოგიერთი, – მაგალითად, აშშ-ის ექსპრეზიდენტი დონალდ ტრამპი – მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილების დაპირებით ცდილობს ამომრჩევლის მოთაფვლას. ტრამპმა, რომელიც „რესპუბლიკელების“ პრეზიდენტობის კანდიდატებში ლიდერობს, დეკემბრის ბოლოს აიოვაში შეკრებილ მხარდამჭერებს უთხრა:

„სამყაროს ახლა იმაზე მეტი საფრთხე ემუქრება, ვიდრე ოდესმე – იარაღის ძალის გამო. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა: მე ვიქნები ერთადერთი, რომელიც მესამე მსოფლიო ომს თავიდან აიცილებს“.

„მესამე მსოფლიო ომს“ დემოკრატების მხარესაც ახსენებენ. New York Times-ის ცნობით, პრეზიდენტმა ბაიდენმა, როდესაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, თავის თანაშემწეებს უთხრა: „ჩვენ ვცდილობთ მესამე მსოფლიო ომის თავიდან არიდებას“. და ეს მესიჯი ოფიციალურ განცხადებებშიც ჩნდება.

- რუსეთ-უკრაინის ომი 2022 წლის თებერვლიდან აქტიურ ფაზაშია და ჯერ მისი დასრულების პერსპექტივები არ ჩანს;
- 2023 წლის ოქტომბრიდან კი ისრაელი-ღაზის ომი მიმდინარეობს, რომლის ეფექტებიც ამ დროისთვის მთელ ახლო აღმოსავლეთზეა გადმოსული;

ამერიკული კონსერვატიული „ფოკუს ნიუზის“ ეროვნული უშიშროების ანალიტიკოსი, ყოფილი უშიშროების ოფიცერი ჰელ კემპერი ამბობს, რომ თუკი საბრძოლო მოქმედებები წყნარი ოკეანის რეგიონშიც დაიწყება, ამ შემთხვევაში ნამდვილად შეგვეძლება საუბარი მესამე მსოფლიო ომზე:

„გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ომი ევროპაში, უკრაინის ომი. გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი, „გაფანტული“ ომი ახლო აღმოსავლეთში. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რა მოხდება წყნარ ოკეანეში. თუ იქაურობაც აფეთქდება, დიახ, შემდეგ საქმე გვექნება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მესამე მსოფლიო ომთან“.

- დაძაბულობაა კორეის ნახევარკუნძულზე, – ჩრდილოეთი კორეა, რომელიც რუსეთთან მზარდი თანამშრომლობის დახმარებით ბირთვული იარაღის განვითარებისკენაა მომართული, შესამჩნევად ამკაცრებს რიტორიკას სამხრეთ კორეისადმი;
- ტრადიციულად ნარჩუნდება დაძაბულობა ტაივანის სრუტეში, – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ტაივანს შორისაც.

ლუკა პერტაია



სააკაშვილის აბდაუბდას ისევ მთელი ქვეყანა ისმენს!

„ეტო რაზვე ნორმალნო“!

1933 წლის 30 იანვარს ჰიტლერი გერმანიის რაიხსკანცლერი გახდა. დამყარდა ფაშისტური დიქტატურა. იმავე წლის 27 თებერვალს, პარლამენტის შენობა – რაიხსტაგი დაწვეს. მეორე დღესვე გამოაქვეყნეს საგანგებო დეკრეტი, რომელიც აუქმებდა სიტყვის, მეჯდვის, პიროვნების, შეკრებების ჩატარების, კავშირების შექმნის თავისუფლებას, სასტიკად გაუსწორდნენ ოპოზიციურ პარტიებს.

ასეთ პირობებში რაიხსტაგის დაწვის სასამართლო მაინც გაიმართა. ერთ-ერთი ბრალდებული კომუნისტი გიორგი დიმიტროვი იყო, (შემდეგში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცკ-ს გენერალური მდივანი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.): ბრალდების მოწმედ გამოდიოდა ჰ. გერინგი, პრუსიის პრემიერ მინისტრი და ამავე დროს შინაგან საქმეთა მინისტრი, (1935 წლიდან გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი, რაიხსმარშალი). მათი დაპირისპირება 1933 წლის 4 ნოემბერს მოხდა.

გ. დიმიტროვი შეეცადა სასამართლო პროცესი კომუნისტური პარტიის იდეოლოგიის პროპაგანდისთვის გამოეყენებინა, რამაც იქ დამსწრე საზოგადოების და პირადად გერინგის აღშფოთება გამოიწვია. სასამართლოს თავმჯდომარემ დიმიტროვს შეახსენა, რომ მას ბრალდების მოწმის მიმართ მხოლოდ კითხვების დასმის უფლება ჰქონდა და არ დაეწყო კომუნისტური პროპაგანდა. გაფრთხილების მიუხედავად, გ. დიმიტროვმა გააგრძელა კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის ქება, რომ საბჭოთა კავშირის დაკვეთების წყალობით ასი ათასობით გერმანელმა მუშამ მიიღო, იღებს და კვლავაც მიიღებს სამუშაოს, რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ქვეყანაა და ა.შ.

გერინგმა თავი ვერ შეიკავა და დიმიტროვს პირდაპირ მიახალა: თქვენ დიდი ხანია ჩამოსახრჩობი ხართო. ასეთი გამოსვლა, გერინგის, როგორც ბრალდების მოწმის, უფლებების გადამეტება იყო. თავმჯდომარემ უმალ შეაწყვეტინა სიტყვა გერინგს და გააფრთხილა. ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ფაშისტური დიქტატურის არსებობის პირობებშიც კი, სასამართლო ცდილობს დაიცვას სასამართლოს წარმოების პროცესუალური ნორმები – პრემიერ-მინისტრსა და ამასთანავე შინაგან საქმეთა მინისტრს წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა.

გერინგი მიხვდა, რომ იგი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენდა და დიმიტროვს დაემუქრა: მიფრთხილდი, როგორც კი სასამართლო დარბაზიდან გამოხვალ, მე შენ გაგისწორდები, შე ნაძირალა!..

ორჯერ გაფრთხილების მიუხედავად, გ. დიმიტროვმა მაინც გააგრძელა კომუნისტური პროპაგანდა. ამიტომ, მოსამართლემ იგი სასამართლო დარბაზიდან გააძევა და სასამართლოზე დასწრება სამი დღით აუკრძალა. ასეთი დაპირისპირების მიუხედავად, გ. დიმიტროვს ბრალი ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს.

ჩვენთან კი რა ხდება?!. პატიმარი სააკაშვილი, სასამართლო პროცესებზე, საქმესთან დაკავშირებული საკითხების გარდა, ყველაფერზე ლაპარაკობს. მოსამართლეები არათუ არ აჩერებენ მის პროპაგანდისტულ გამოსვლებს, არამედ მოლომდე ყურადღებით უსმენენ და ამ აბდაუბდას საზოგადოებასაც ასმენინებენ. ერთადერთი მოსამართლე, რომელმაც „გაბედა“ და სააკაშვილს, მორიდებით, სიტყვა შეაწყვეტინა, კოჭლავაშვილი იყო. ამისთვის იგი „აამაღლეს, კაცად აქციეს“.

„ეტო რაზვე ნორმალნო!“

ვაჟა თვალავაძე

აფხაზური „პასპორტების“ ქართული დილემა

გალელი „ახალი აფხაზები“

აფხაზეთში გრძელდება დავა ადგილობრივი „პარლამენტის“ მიერ გასული წლის დეკემბრის დასაწყისში მიღებული იმ გადაწყვეტილების ირგვლივ, რომლითაც „აფხაზური ეროვნული კუთვნილებისა და გვარის აღდგენის სახელმწიფო რეგისტრაციის“ ახალი პროცედურა განისაზღვრა.

მოკლედ შეგახსენებთ საკანონმდებლო სიახლის არსს: აფხაზეთში მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს მიენიჭათ უფლება, „აფხაზური ეროვნული კუთვნილება და გვარი აღიდგინონ“, რის შემდეგაც ავტომატურად შეძლებენ იქაური „პასპორტისა“ და „მოქალაქეობის“ მიღებას.

ნათელია, რომ საკანონმდებლო სიახლე მიმართულია უპირველესად რეგიონის ძირძველ ქართულ მოსახლეობაზე – ერთადერთ ეთნიკურ ჯგუფზე, რომლის წარმომადგენლებს სხვადასხვა საბაბით წლობით არ აძლევდნენ აფხაზურ „პასპორტს“. ამ გზით აფხაზეთში რიცხოვნობით მეორე ეთნიკურ ჯგუფს ერთმეოდა ყველა პოლიტიკური უფლება, ეზღუდებოდა საკუთრების უფლებაც, განიცდიდა დისკრიმინაციის სხვა ფორმებსაც. საკანონმდებლო სიახლით კი ქართველებს, რომლებიც „ნებაყოფლობით“ იტყვიან უარს ქართულ ეროვნულ კუთვნილებაზე აფხაზურის სასარგებლოდ, შესაძლებლობა ეძლევათ, მოიპოვონ აფხაზეთის „მოქალაქეობა“ და მასთან ერთად ადამიანის საბაზისო უფლებებიც.

ნიშანდობლივია, რომ ამ თემაზე დისკუსია აფხაზურ საზოგადოებაში მხოლოდ ერთი მიმართულებით წარიმართა: იქცევიან კი „ახალი აფხაზები“ ჭეშმარიტ აფხაზებად, თუ იმავე ქართველებად დარჩებიან, მაგრამ ფორმალურად მიღებული აფხაზური ეროვნების წყალობით – ახლა უკვე აფხაზეთის სრულუფლებიანი მოქალაქეების სტატუსით?

რადიკალი ნაციონალისტები აშინებენ დანარჩენებს – „აგერ, მეხუთე კოლონაც მზადააო“. თავის მხრივ ზომიერი ნაციონალისტები, რომლებიც პირველთა ფონზე „დემოკრატიის მამებად“ გამოიყურებიან, საუბრობენ გალელების აუცილებელ „ინტეგრაციაზე“, რომელსაც მხოლოდ ერთ – ქართულ ეროვნულ კუთვნილებაზე უარის თქმის პრიზმაში განიხილავენ. ამგვარად, სოხუმში ფაქტობრივად, საჯაროდ აღიარებენ: იმისათვის, რომ ადამიანის უფლებები ქართველებზეც გავრცელდეს, ისინი აფხაზებად უნდა იქცნენ...

გასაოცარია, მაგრამ ამ დრომდე არავის გაუუღერებია თითქოსდა მარტივი აზრი – ის პირველი რამ, რაც თავში მოგდის, როცა XXI საუკუნეში მსგავს მსჯელობებს ისმენ: ამგვარი აზროვნება ძირეულად მიუღებელია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, რადგან ეწინააღმდეგება როგორც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, ისე საერთაშორისო სამართალს, თავად მსგავსი მსჯელობის ფაქტი კი დადასტურებაა ნაციონალისტური რეჟიმისა მის ერთ-ერთ ყველაზე მახინჯ გამოვლინებაში. შესაბამისად, მსგავსი მიდგომით სოხუმს ძალიან გაუჭირდება, გარე სამყაროს მხრიდან გაგებას მიაღწიოს, ცივილიზებული მსოფლიო თანამედგომრობის კეთილგანწყობაზე ხომ ოცნებაც არ ღირს.

ხსენებული საკანონმდებლო ინიციატივა. სოხუმურ მატალიებში ისმის საუბრები მხოლოდ აფხაზების ინტერესებზე, მაგრამ თითქმის არავინ ახსენებს იმ ადამიანთა ინტერესებს, რომლებიც ამ გადაწყვეტილების სუბიექტს წარმოადგენენ. ადგილობრივი მედიაც კი არ ცდილობს, გაარკვიოს, რას ფიქრობენ ამ ყველაფერზე საკუთრივ სამურზაყანოელი ქართველები.

დავუშვათ, ვიღაც ამ წინადადებას დასთანხმდა, ეროვნება შეიცვალა, მიიღო „მოქალაქეობა“ და „პასპორტიც“, – ასეთ შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია. მაგრამ თუ მისი მოგვარე ან ნათესავი არ მოისურვებს გვარისა და ეროვნების შეცვლას, რა უნდა ქნას – გააგრძელოს „გალის რეზერვაციაში სასჯელის მოხდა“?!

მაინც როგორ აღიქვეს საკანონმდებლო სიახლე თავად გალელებმა? საზოგადოებრივი აზრის მინი-გამოკითხვამ, რომელსაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული შეზღუდული შესაძლებლობების ობიექტური მიზეზით რეპრეზენტატიულობის პრეტენზია არ აქვს, საკმაოდ საინტერესო შედეგები აჩვენა.

კერძოდ, რესპონდენტთა დაახლოებით 60% აპირებს, ისარგებლოს ეროვნების შეცვლის ფასად „პასპორტის“ მიღების შესაძლებლობით, რადგან ეს „შედარებით ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობას მისცემთ, მაგალითად, ოჯახი სახლს მაინც გაიფორმებს და აღარ იცხოვრებს ყოველდღიურ შიშში, ვინმემ ნებისმიერ დროს წაართვას“. მათთვის საპასპორტო გრაფაში დაფიქსირებული აფხაზური ეროვნება „მხოლოდ ფორმალობაა იმ „პასპორტის“ მისაღებად, რომელიც დღემდე არნახული შესაძლებლობებისკენ გაუხსნით კარს“.

გამოკითხულთა დაახლოებით 30%-მა განაცხადა, რომ მსგავსი პირობით „პასპორტის“ აღებას არ აპირებს, რადგან თვლის, რომ სრული უფლება აქვს, დოკუმენტი ყოველგვარი დისკრიმინაციული მოთხოვნების შესრულების გარეშე გააჩნდეს, ეროვნებისა და გვარის შეცვლა კი წინაპრების, საგვარეულოს, გვარის ღალატის ტოლფასია და შესაბამისად, სრულიად მიუღებელი. რესპონდენტთა ამ კატეგორიის აზრით, თუკი ისინი აქამდე ახერხებდნენ აფხაზური „პასპორტის“ გარეშე თავის გატანას, შემდგომშიც შეძლებენ ამას.

და მხოლოდ ყოველმა მეათემ განაცხადა, რომ დაელოდება მოვლენათა განვითარებას, დააკვირდება, რას მოიმოქმედებს გალელების უმრავლესობა – და საკუთარ გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს.

ხოლო რესპონდენტთა პასუხები კითხვაზე თბილისის მხრიდან შესაძლო საპასუხო ზომების თაობაზე შეიძლება, ერთ სამწუხარო საერთო ნიშნულამდე დავიყვანოთ: გალელებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან არანაირი მოლოდინი არ აქვთ, რადგან თვლიან, რომ სადღეისოდ ეს საკითხი თბილისისთვის დღის წესრიგში არ დგას და შესაბამისად, ყურადღების მიღმა დარჩება.

რაჟდენ ძაფშაია

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ ქ. ჭიათურის საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია
დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ჭიათურის მუნიციპალიტეტი
საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 13 თებერვალი, 13:00 საათი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: ნინოშვილის ქ. №7)
„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.
საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.
წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 15 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, 2024 წლის **18 იანვარს,** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -
შპს „მტკვარი ჰესის“ მიერ ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში 53 მგვტ დადგმული სიმძლავრის „მტკვარი ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: **53 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება**
დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: **შპს „მტკვარი ჰესი“**
დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: **ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტები**
საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 29 თებერვალი, 15:00 საათი, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. საყუნეთის ახალგაზრდული ცენტრის შენობა. 2024 წლის 1 მარტი, 11:00 საათი, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. ძველის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა
„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.
საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ გზშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **22 მარტის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: **ph@eiec.gov.ge**, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 12-ე მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა 2024 წლის **18 იანვარს.** აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს მარიამ გელხაურის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მცხეთა, სოფელი საგურამო (საკადასტრო კოდი: 72.06.01.004.063)
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9000 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 29 იანვარი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 12 თებერვალი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP95732924;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 957329
6. **მოვალე:** სამეიე სოჰეილ (პ/ნ U39867840), მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034;
შპს „მერქანი“ (ს/ნ 425366043), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
შპს „ლ&გ“ (ს/ნ 404383092), თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, ე. ახვლედიანის ქ. №10;
მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
მანუჩარ ცხელიშვილი (პ/ნ 21001012578), თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №118/42;
სამად იარი (პ/ნ 01391047051), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №22, ბლოკი „ა“, ბინა №59.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის დირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინაადმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95732924; ლოტის ნომერი: 957329).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 12 თებერვლის 12:00 საათამდე.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს მარალ ბაქიევას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: მარალ ბაქიევა (პ/ნ 28001076381), მარნეული, ს. ალგეთი და თეთრიწყარო, ს. წინწყარო
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მარნეული, ს. ალგეთი, 36-ე ქუჩა №9 (საკადასტრო კოდი: 83.03.24.198 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 1500 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 29 იანვარი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 12 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP95733024;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 957330
6. **მოვალე:** რაფაელ ემინაგაროვი (პ/ნ 28001070985), თეთრიწყარო, ს. წინწყარო;
მარალ ბაქიევა (პ/ნ 28001076381), მარნეული, ს. ალგეთი და თეთრიწყარო, ს. წინწყარო;
ჯუმშუდ ემინაგაროვი (პ/ნ 28001033445), მარნეული, ს. ალგეთი, მე-8 მე-2 ჩიხი №5.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის დირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინაადმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95733024; ლოტის ნომერი: 957330).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 12 თებერვლის 12:00 საათამდე.

◎ მუნდიალი – 2025

ავსტრიული წინაღობა

პიოლნში 2025 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა შედგა, სადაც გაირკვა 11 წყვილი, რომელიც ფინალური საგზურისთვის იბრძოლებს. საქართველოს ეროვნული ნაკრები გათამაშებაში დასკვნითი ეტაპიდან (ფლეი ოფი) ჩაერთვება და ავსტრიას დაუპირისპირდება, რომელმაც ევროპის ჩემპიონატი მერვე ადგილზე დაასრულა.

მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების ვინაობა ორმატჩიან დუელში გაირკვევა. საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისში პირველ თამაშს 8-9 მაისს ჩაატარებს, ხოლო მეორე მატჩი ავსტრიაში 11-12 მაისს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 2025 წლის იანვარში ხორვატეთში, დანიასა და ნორვეგიაში გაიმართება.

ავსტრია ძლიერი გუნდია, რაც ევროპის ჩემპიონატმა დაამტკიცა. ისინი უკანასკნელ ტურამდე ინარჩუნებდნენ ნახევარფინალში გასვლის შანს, რადგან ფრედ ითამაშეს ისეთ გრანდებთან, როგორებიც არიან ესპანეთი, ხორვატეთი და გერმანია, მოუგეს უნგრეთს.

◎ ძველი გვარდია

ფინალიც საქმეა

საქართველოს ეროვნული გუნდის ვეტერანი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრები ნორვეგიაში გამართული ვეტერანთა თასის გათამაშების ფინალში გავიდა.

ჩვენმა გუნდმა ეროვნულ ნაკრებში სხვადასხვა დროს მოთამაშე ფეხბურთელების შემადგენლობით იასპარეზა: გიორგი ლომაია, ალექსანდრე იაშვილი, ზურა ხიზანიშვილი, ლაშა თოთაძე, გიორგი ნავალოვსკი, ალექსანდრე კობახიძე, ლევან მჭედლიძე, გიორგი განუგრავა, დავით სირაძე.

ტურნირის პირველ დღეს, ვეტერანთა ნაკრებმა, ნორვეგიის ვეტერანთა ნაკრები ანგარიშით 4:3 დაამარცხა, მეორე გამარჯვება კი უკრაინის წინააღმდეგ 3:2 მოიპოვა. მეორე დღეს, ფინეთის ნაკრებთან გამართული მატჩი ანგარიშით 6:1 დასრულდა ჩვენი გუნდის სასარგებლოდ, ფარერის კუნძულების ვეტერანთა ნაკრებთან შეხვედრა კი, საქართველოს ნაკრებმა 3:1 მოიგო.

ოთხიდან ოთხი გამარჯვებით საქართველოს ვეტერანთა ნაკრებმა ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა და ფინალურ შეხვედრაში უკრაინის ნაკრებთან 3:4 დამარცხდა.

◎ სტატია – გზამკვლევი

THE TIMES:

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თბილისში

პოპულარული გრიტანული გამოცემა THE TIMES-ის ჟურნალისტმა მარკ პალმერმა, ჩელენჯ თასზე „კლერმონთან“ გამართული მატჩის კვირა საქართველოში გაატარა და აქაური გარემო გრიტანელებს გააცნო:

„შავი ლომის“ ჩელენჯ თასში მონაწილეობამ ქართულ კულტურასთან, ისტორიასთან და ღვინოსთან გვაზიარა. ამავდროულად, მან დამატებითი ბიძგი მისცა ამბიციას, რომ საქართველო გახდეს ექვსი ერის ნაწილი.

„მიხეილ მესხის“ სტადიონზე 17 ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა, რათა ჩელენჯ თასზე „შავი ლომისა“ და „კლერმონის“ თამაშისთვის ეყურებინა. „ტულუზის“, „ლესტერისა“ და „მანსტერის“ გამოკლებით, რომლებმაც ჯამში 9-ჯერ მოიგეს ჩემპიონთა თასი, „მიხეილ მესხზე“ უფრო მეტი მაყურებელი შეიკრიბა, ვიდრე ევროტურნირების ნებისმიერ სხვა მატჩში.

სამწლიანი შეთანხმების ფარგლებში, ეს იყო „შავი ლომის“ პირველი სეზონი ჩელენჯ თასზე, რომელმაც საქართველოს რაგბის კავშირის მიერ მართულ ფრენჩაიზს სასიცოცხლო მნიშვნელობა უნდა შესძინოს ელიტურ საკლუბო დონეზე.

მთელ ქვეყანაში იმედოვნებენ, რომ ამ შესაძლებლობას კარგად გამოიყენებენ, როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა და უახლოეს წლებში ქართული რაგბისთვის კიდევ არაერთი ოქროს კარი გაიღება. ქართველებს სურთ, რომ მათი ფრენჩაიზი გაერთიანებული რაგბის ჩემპიონატში (URS) ჩაერთოს, საბოლოო მიზანს კი ექვს ერში ადგილის მოპოვება წარმოადგენს.

„შავი ლომი“ ჩელენჯ თასის ჯგუფური ეტაპის ოთხი შეხვედრიდან სამში, კონკურენტუნარიანი იყო. შობამდე მათ დაამარცხეს „სქარლეთსი“, 150-წლიანი ისტორიის მქონე „გლოსტერს“ კი თბილისში მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩნენ.

საფრანგეთში, „კასტრთან“ მატჩის საყურებლად 1000-ზე მეტი ქართველი ქომაგი ჩავიდა, ერთი კვირის შემდეგ კი თბილისში ერთდღიანი ზეიმი გაიმართა. ყველაფერი ქართული კერძების მომზადებით დაიწყო, შედგა დაიანა კინგის მინი-კონცერტი, რის შემდეგაც ფანებმა ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სტადიონის ტრიბუნებზე გადაინაცვლეს. თამაშის შემდეგ ქართველი და ფრანგი მაყურებელი ერთად საღამომდე ერთობოდა, სანამ ადგილობრივ სასტუმროებს მიაშურეს, რათა ქართული ღვინის წარმოების 8-ათასწლოვან ისტორიას გაცნობოდნენ.

ეს არის ევროპულ რელსებზე თბილისის დამკვიდრებისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი. თბილისში ორჯერ ვიყავი: პირველად 2019 წლის მსოფლიო თასის წინ შოტლანდიასთან ერთად (ტიერ1-ის გუნდის ერთადერთი ვიზიტი თბილისში), მეორედ კი გასულ კვირაში და გარწმუნებთ, ესაა მდიდარი კულტურის, ისტორიის, გასტრონომიისა და სტუმართმოყვარეობის ნაზავი.

როგორც რიჩარდ კოკერილმა თქვა, რომელიც ცოტა ხნის წინ საქართველოს ნაკრებისა და „შავი ლომის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა: **„აქაურობა ძალიან განსხვავდება იმისგან, რისი წარმოდგენაც გვაქვს. საკვები, კულტურა, ამინდი, ღვინო: ეს შესანიშნავი ადგილია უქმეების გასატარებლად და რაგბის საყურებლად. აქ ბევრი შესაძლებლობაა და რაგბიც აშკარად იზრდება“.**

მართალია რამდენიმე წამყვანი ქართველი მორაგბე ჯერაც საფრანგეთში თამაშობს, მაგალითად „ლიონის“ ვარსკვლავი დავით ნინიაშვილი, მაგრამ „შავი ლომი“ უკვე იქცა მოთამაშეთა შენარჩუნებისა და უკან დაბრუნების საშუალებად, რაც ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს. ნაკრების მოთამაშეების დაახლოებით 60% „შავი ლომის“ შემადგენლობაშია და ისინი შეგნებულად ამბობენ უარს უცხოურ კლუბებთან კონტრაქტის გაფორმებაზე.

მათ ერთი სეზონი გაატარეს სამხრეთ აფრიკის ქარის თასის პირველ დივიზიონში, ერთი კი ამერიკის სუპერრაგბიში, მაგრამ ევროპასთან უფრო მჭიდრო კონტაქტების სურვილი აქვთ. სოსო ტყემალაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი, იხსენებს ჩელენჯ თასში საქართველოს მიღების გადაწყვეტილებას, რომელშიც დომინიკ მაკქეიმ, შოტლანდიის რაგბის კავშირის ყოფილმა ოპერაციების დირექტორმა, რომელიც EPCR-ის თავმჯდომარე გახდა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

„დომინიკი ქართული რაგბის დიდი გულშემატკივარია“ – ამბობს ტყემალაძე – „მას კარგად ესმის რის გაკეთებას ვცდილობთ და რაგბის მთელს მსოფლიოში გავრცელების



მნიშვნელობას აღიარებს. ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ შესაძლებლობები სხვადასხვა დონეზე და ვაჩვენოთ, რომ ამას ვიმსახურებთ. EPCR-ს ეყო სითამამე ჩვენთვის კარი გაეღო“.

„ჩვენ გვიყვარს რაგბი, რადგან ის გუნდური თამაშია. როგორც გუნდს, ფანტასტიკური რამეების გაკეთება შეგვიძლია. ჩვენ გვსურს გაერთიანებულ რაგბის ჩემპიონატში ჩართვა და ჩელენჯ თასი პირველი დიდი ნაბიჯია ამ გზაზე. თუ 100 ქულით დავმარცხდებოდით, როგორც ეს რამდენიმე ქვეყნის გუნდებს დაემართათ ტურნირში ჩართვის პირველ დღეებში, არ იქნებოდა კარგი სიგნალი, მაგრამ უკვე ყველას დავანახეთ, რომ შეგვიძლია ვიყოთ კონკურენტუნარიანები“.

„ყველა ექვს ერზე საუბრობს და რა თქმა უნდა იქ მოხვედრა ჩვენი სურვილია, მაგრამ მანამდე არაერთი აუცილებელი ნაბიჯია გადასადგმელი. ჩვენ ისევ გავაგრძელებთ „კაკუნს“ და ვიმედოვნებთ, უფრო მეტი ადამიანი გაგვცემს პასუხს, როგორც ეს დომინიკმა და EPCR-მა გააკეთეს“.

საქართველოს დიდი ხანია ლობირებენ 18 და 20-წლამდელთა დონეზე ექვს ერში მისაღებად. მისმა 20-წლამდელებმა ბოლო წლებში ისეთი გუნდები დაამარცხეს, როგორებიც ინგლისი, შოტლანდია, არგენტინა და იტალია არიან.

არის მოლოდინი, რომ 18-წლამდელთა ფესტივალზე მიწვევას ისინი უახლოეს პერიოდში მიიღებენ, შესაძლოა, უკვე წელს. ეს იქნება შესაძლებლობა უმაღლესი დონის სარაგბო ბაზები წარმოაჩინონ, რომლებიც ქვეყანაში ბოლო წლებში შეიქმნა. საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, 2011 წლიდან დაახლოებით 80 მილიონი გირვანქა სტერლინგის ინვესტიცია განახორციელა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მეშვეობით, საქართველოს მთავრობას კი კავშირის წლიურ 14-მილიონიან ბიუჯეტში დაახლოებით 10-მილიონიანი წვლილი შეაქვს.

მაღალი მიღწევების ფლანგს ლევან მაისაშვილი გაუძღვება, მწვრთნელი, რომელიც რიჩარდ კოკერილმა შეცვალა. საქართველომ რაგბი ევროპის ჩემპიონატის ბოლო 13 გათამაშებიდან 12 მოიგო, „შავმა ლომმა“ კი რაგბი ევროპის სუპერთასი ზედიზედ სამჯერ შემართა.

„შავმა ლომმა“ მოგვცა შესაძლებლობა გადაგველახა სიტუაცია, რომელიც 2019 წლის მსოფლიო თასის შემდეგ შეგვექმნა. შიდა ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეები სულ სხვა დონეზე იყვნენ საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერებთან მიმართებაში“ – ამბობს მაისაშვილი.

„ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერ გუნდს შეგვიძლია გავუწიოთ კონკურენცია, ოღონდ ამისთვის გვჭირდება დრო და შესაძლებლობა. თამაშებისა და შეჯიბრებების გარეშე ეს უაზრო დროის ხარჯვა იქნება“.

გაერთიანებული რაგბის ჩემპიონატის (URC) ხელმძღვანელობას ალბათ არ მოუნდება ახალი ცვლილებები მას შემდეგ, რაც ტურნირს ოთხი სამხრეთაფრიკული გუნდი დაამატა, თუმცა კოკერილი, რომელიც ადრე „ედინბურგს“ ავარჯიშებდა, მოხიბლულია იმ შესაძლებლობით, რისი შეთავაზებაც საქართველოსთვის შეუძლია. ის ბევრ საერთოს ხედავს ახლანდელ გუნდსა და შოტლანდიაში გატარებულ ოთხ წელიწადს შორის, სადაც მისი ერთ-ერთი ფუნქცია ეროვნული გუნდისთვის მოთამაშეების მომზადება იყო.

„თუ URC-ს ტურნირში თამაში სამხრეთაფრიკულ გუნდებს შეუძლიათ, ვერ ვხედავ მიზეზს, რომლის გამოც იგივეს გაკეთება ჩვენ არ შეგვიძლია“ – აღნიშნავს კოკერილი.

„ეს სიტუაცია არაფრით განსხვავდება იმისგან, რომლის დროსაც ტურნირში იტალიური გუნდები ჩაერთვნენ და ახლა „ბენეტონი“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ჩვენ უბრალოდ უნდა გავაგრძელოთ განვითარება და დაველოდოთ მომენტს. საუბარია სიღრმეების შექმნაზე. შოტლანდიაში, სადაც 50 ათას რეგისტრირებულ მოთამაშეს ცოტად თვლიან, საქართველოში მხოლოდ 3 500 რეგისტრირებული მორაგბეა“. „ჩვენ უნდა ვიყოთ უკეთესები, გავაგრძელოთ გამარჯვებები და დავამტკიცოთ, რომ მზად ვართ ეროვნული ნაკრების დონეზე ნებისმიერ ტურნირში ჩასართავად. „შავმა ლომმა“ ჩელენჯ თასის პირველ სეზონში ღირსეულად ითამაშა და აუცილებელია ამ დონის შენარჩუნება“.

„ზოგიერთმა მოთამაშემ კასტრში პირველად ითამაშა ასეთი დონის გუნდის წინააღმდეგ. ჩვენ თუ ვიქნებით საკმარისად კარგები და კონკურენტუნარიანები, მეტ ადამიანს მოუნდება ჩვენი ჩართვა საკუთარ ტურნირებში. პოლიტიკას პრეზიდენტი და მმართველობა განსაზღვრავენ, მაგრამ ყურადღების მისაქცევად საუკეთესო საშუალება თამაშების მოგებაა“.

ქართველების თამაში სიამაყეს, ჟინს და ამბიციას ასხივებს. **რაგბის კავშირის სტატისტიკოსმა ნიკო გიგინეიშვილმა (რომელმაც „ბორჯღალოსნების“ და „შავი ლომის“ შარფის იდეა შეიმუშავა, რომელზეც „კლერმონთან“ მატჩისას დიდი მოთხოვნა იყო) მიამბო თუ როგორ შექმნა აწ გარდაცვლილმა მამამისმა ზაალ გიგინეიშვილმა, ქართული რაგბის მემატიანემ, რაგბის ქართული ტერმინოლოგია, მოთამაშეთა პოზიციებისა თუ სათამაშო სიტუაციების აღსაწერად. პრეზიდენტის უფროსმა მრჩეველმა ნიკა ალავიძემ კი ამიხსნა, რომ „ბრძოლა ქართველი ერის სულშია: „ჩვენ მუდამ გვიწევდა ბრძოლა საკუთარი მომავლისთვის და ასეთი შემართება რომ არა – უბრალოდ ვერ გადავრჩებოდით“.**

მაისაშვილი ამ გამძლეობის განსახიერებაა. 2021 წელს, სამხრეთ აფრიკის ტურნეს დროს ის კოვიდით დაავადდა და სიკვდილთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ გადარჩა, რათა ქართული რაგბისთვის სანიშანსვეტო გამარჯვებები მოეპოვებინა იტალიასთან და კარდიფში უელსთან.

„ორჯერ ვიყავი სიკვდილის ზღვარზე და დიდი დრო გავატარე საავადმყოფოში: ერთი თვე კომაში და კიდევ ერთი თვე სამკურნალოდ. დავბრუნდი საქართველოში და ერთ თვეზე ნაკლებ დროში გავედი მოედანზე. ყველა ფიქრობდა რომ გავგიჟდი, მაგრამ მე მოედანზე ვცხოვრობ და ეს აღდგენაში დამეხმარა“. „კრიტიკულ სიტუაციაში ვიყავი, ყველა ელოდა გარდაცვალების მომენტს. კომიდან რომ გამოვედი 50-55 კილოგრამს ვიწონიდი, 35 კილო დავიკელი. ახლა ყველაფერი კარგადაა, ბოლომდე გამოვჯანმრთელდი. მოთამაშეებს ყოველთვის ვეუბნები, რომ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რაც გვსურს და სწორედ ასეთი ემოციები და ქმედებები მიიყვანს ქართულ რაგბის იქამდე, სადაც მისი ადგილია“.

რად გვავიწყდება არ ვიცი, ნეტავ, მწერალი როა მოძღვარი ერის?..

ყოფნა-არყოფნა თუ არის ახლა?!..

(გამოუქვეყნებელი ლექსი პოეტური არქივიდან)

რომ... არ გვყოლოდა
დიადი შოთა,
რომ... არ გვყოლოდი,
დიადო, დავით,
მაშინ, გვენახა:
წუხილიც, შფოთვაც,
რით მოგვეწონა
ქართველებს თავი?!..

რომ... არ გვყოლოდა
ბესიკი, ჩანგით,
რომ... არ გვყოლოდა
დიადი ტატო,
რომ... მოსდებოდა
მზეკალმებს ჟანგი,
რა გვექნა?!.. უფრო,
ზესვლას რომ... ვნატრობთ?!..

ვამაყობთ, რომ გვყავს
ბრძენი ილია,
ვამაყობთ, რომ გვყავს
აკაკი, ბრძენი...
უმათოდ,
ყოფნის სიბრძნე
არ გვყოფნის
ჩვენ,
მათით ვზარდეთ:
ასულნი, ძენი...

ავმზევდებოდით, ჩვენ —
ასე, განა ?!..
რით გაგვეთენა —
ღამის უღრანი?!..
რომ... არ გვყოლოდა —
სხივსავსე გალა?!..
რომ... არ გვყოლოდა —
დიდი მუხრანი?!..

დასაბამიდან
ღირსება ცდილობს —
სანთელ-სახელი
ბრწყინავდეს
ბევრი...
ვის უნდა
ვგავდეთ,
მინავლულ ცვილობს?!..
დადგეს უკუნი
ერის და...
ბერის?!..

ელვარე ნათელს,
ხან, რატომ ვკეტავთ?!..
ჩვენ, ჩვენი თავის,
რატომ ვართ მტერი,
რად გვავიწყდება
არ ვიცი, ნეტავ,
მწერალი როა
მოძღვარი ერის...

ვით შევწვდებოდით
ზე — სახელს,
დიადს?!..
მე დღეის განცდა
ფიქრის ცეცხლს
მიშლის...
მწერლობა ახლა
სადღაც რომ
გდია,
რა ვიქნებოდით
უმათოდ,
მაშინ?!..

P. S.

დღეს, უგულობა
მეფურად
დადის...
მკლავს:
მწველი განცდა,
ფიქრი და...
დარდი!..
რად გვქონდეს თავი
ქვაზე სახალი?!..
ხომ, გვინდა —
დროც და...
სიბრძნეც, ახალი?!..
რატომ ვაქციოთ:
ნათელი
ბინდად?!..
ჩვენ, ხვალეს,
დღესვე ვხედავდეთ,
უნდა!..
ყოფნა-არყოფნა
თუ არის
ახლა?!..
დრო რად ვაქციოთ
სინდისის
დახლად?!..
ჩვენ უნდა
გლოვის დავუდგათ
ტაბლა,
მომავალს ერის,
ვინც დასცემს
დაბლა!..
მიჯრით მივკვალავთ
ფრიალო აღმართს...
თუ გვსურს: გადავრჩეთ,
ვიაროთ — წაღმა!..
გაქრობის,
რომ ... არ დაგვეცეს —
გუნდა,
როგორც, არასდროს,
დავფიქრდეთ, —
უნდა!..
გზა არის ორი,
ერთია — ღმერთის...
არჩევანია, დღეს
მხოლოდ,
ერთის!!!..

ფარნა რაინა
20 იანვარი, 2011 წ. თელავი.

რას არ გაიგებ!

ქობულეთში, ნაკაიძეების სასაფლაოზე, 120 ცოცხალი ადამიანის ფოტო დამარხული იპოვეს!

ქობულეთში, სოფელ გელაურში ერთ-ერთ სასაფლაოზე 120 ცოცხალი ადამიანის ფოტო იპოვეს დამარხული. გავრცელებული ინფორმაციით, მომხდარის შესახებ ინფორმირებული არიან სამართალდამცველები. სოფლის შეშფოთებული გელაურის მცხოვრებლები გამოძიებას და დამნაშავის სათანადოდ დასჯას ითხოვენ.

„როგორც ცნობილია, ფოტოები ზემოდან მიწაში იყო ჩაფლული და მათ მიცვალებულთან შეხება არ ჰქონია... ფოტოსურათები მათზე გამოსახული პირების „ფეისბუქალბომებიდანაა“ აღებული და შემდეგ დაბეჭდილი. სურათებზე აღბეჭდილი პიროვნებები იდენტიფიცირებულია“.

„ეს ნაკაიძეების საფლავზე მოხდა, დედა ყოველდღე დადის შვილის საფლავზე და უცნაურად დატკეპნილი მიწა,რომ შეამჩნია ის ადგილი ამოთხარა, თან დანაც დარჩა ეტყობა იმ ბოროტმოქმედს... დანაც იპოვეს... ამოთხარეს და აღმოაჩინეს ეგ სურათები“.

„ძალიან შემეშინდა, გული მაქვს ცუდად“ – წერენ კომენტარებში.

13 წლის ბავშვის შანტაჟი პორნოგრაფიული ფოტოებით

ჯარისკაცის სექსუალური ძალადობა არასრულწლოვანზე – „შაბათის ეთერის“ მიერ ექსკლუზიურად მოპოვებულ საქმის მასალებში წერია, რომ სამხედრო მერვე კლასის მოსწავლეს პორნოგრაფიული მასალის გადაღებას და გაგზავნას სამი თვის განმავლობაში აიძულებდა.

მეტიც, საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებული მოზარდს დედისთვის და მისი 9 წლის დისთვის შიშველი ფოტოების გადაღებას სთხოვდა, თუ უარს იტყოდა, ანგარიშსწორებით ემუქრებოდა.

გამომძიებლის მოპოვებული მიმოწერით დასტურდება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარისკაცი გოგონას აიძულებდა, ის „მეფედ“ მოეხსენიებინა, სხვადასხვა საგნების გამოყენებით, ინტიმური შინაარსის ვიდეომასალა გადაეღო და გაეგზავნა. მესიჯების შინაარსი იმდენად მძიმეა, რომ მისი გასაჯაროება შეუძლებელია.

არასრულწლოვანის ტერორი იმ წუთიდან დაიწყო, როდესაც სოციალურ ქსელში, ფეისბუქზე ჯარისკაცის ყალბი გვერდიდან მეგობრობის თხოვნა მიიღო. მას პირველი მესიჯი მოჰყვა – სამხედრომ გოგონას გაცნობა სთხოვა. რამდენიმე საათში კი 23 წლის კაცმა მოზარდს შიშველი ფოტოს გაგზავნა კატეგორიულად მოსთხოვა თან დაემუქრა, თუ მის სურვილს არ შეასრულებდა, სკოლასთან დახვდებოდა და სცემდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა დეპარტამენტის გამომძიებელი, თამთა გინტური „შაბათის ეთერთან“ ვრცელ ინტერვიუში ამბობს, რომ ერთი ინტიმური ფოტო ჯარისკაცმა ბავშვის დასაშანტაჟებლად გამოიყენა და მასზე სისტემატური ზეწოლა დაიწყო.

13 წლის ობოლი გოგონა გამომძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ამბობს, რომ ვერავის ვერაფერს ეუბნებოდა, რადგან მოძალადე კაცი ემუქრებოდა, რომ ყველა მის ვიდეოს და მიმოწერას სკოლის პედაგოგებს, კლასელებს და ოჯახის წევრებს გაუგზავნიდა, ამიტომ მსხვერპლი იძულებული იყო, ყველა მისი მოთხოვნა შეესრულებინა.

სკოლის მოსწავლის ცხოვრებაში ეს ჯოჯოხეთი სავარაუდოდ კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ არა ერთი შემთხვევა, იმ დღეს მოზარდმა მოძალადე ჯარისკაცს ტელეფონზე ვერ უპასუხა, კაცი გაბრაზდა და გოგონას ინტიმური ფოტო და ვიდეომასალა ბავშვის კლასელებს და მეგობრებს გადაუგზავნა. ერთ-ერთმა კი ყველაფერი გოგონას დედას უთხრა.

გამოძიება საზარელ დანაშაულზე სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა იმავე დღეს დედის მიმართვის საფუძველზე დაიწყო. დადგინდა, რომ სავარაუდო მოძალადე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურე იყო. ის პოლიციამ იმავე დღეს თბილისში დააკავა, მას თან ჰქონდა ორი მობილურიც, საიდანაც პოლიციამ 13 წლის გოგონას ასობით ინტიმური ფოტოები ამოიღო. მეორე ტელეფონის გახსნაზე კი მოძალადემ პოლიციას უარი უთხრა.

რა ინფორმაციას ინახავს სავარაუდო პედოფილი ჯარისკაცის მეორე ტელეფონი და ინახება თუ არა მის მეხსიერებაში სხვა არასრულწლოვნების პირადი ინფორმაცია? ტელეფონის კალიბრაცია ახლაც გრძელდება, ამ საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ კი არ არის გამორიცხული, გამოძიება სხვა ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანების კვალზეც გავიდეს.

საზარელი დანაშაულის ბრალდებით დაკავებული კაცის მშობლებს მედიასთან საუბარი არ სურთ. ისინი ამტკიცებენ, რომ 23 წლის ჯარისკაცი ციხეში გამოგონილი ბრალდებით გაუშვეს.

დაკავებულის ადვოკატი ადასტურებს, რომ ანგარიში, საიდანაც 13 წლის გოგონას აშანტაჟებდნენ, სწორედ ბრალდებულს ეკუთვნის, თუმცა უფლებადამცველი ამტკიცებს, რომ ამ გვერდზე წვდომა სხვა ჯარისკაცებსაც ჰქონდათ, ამიტომ არ გამორიცხავს, რომ 13 წლის გოგონას სხვა პირები ავიწროებდნენ.

15 წელი ციხეში!, ეს სასჯელი ემუქრება შეიარაღებული ძალების ჯარისკაცს თუ დანაშაულს დაუმტკიცებენ, თუმცა არ არის გამორიცხული, გისოსებს მიღმა კიდევ უფრო მეტის გატარება მოუწიოს, თუ დადგინდა, რომ მისი ტერორის მსხვერპლი სხვა არასრულწლოვნებიც იყვნენ!

გორელი ოთარ ტლაშაძე 100 წლისაა

გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თამაზ შიოშვილმა სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად, 100 წლის ვეტერან მოხუცს დაბადების დღე მიულოცა.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ოთარ ტლაშაძე იუბილესთან დაკავშირებით გორის მერიისგან საჩუქრად 1000 ლარს მიიღებს. გარდა ამისა, მას მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წლის განმავლობაში ჯამში 1000 ლარიც გადაეცემა. აღნიშნული დახმარებებით გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის ორი მონაწილე სარგებლობს.

გორის მერიისგან 1000 ლარი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ ყველა მოქალაქეს წელიწადში ერთხელ გადაეცემა.

„ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ“

ᲖᲐᲖᲐ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲖᲐᲖᲐ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲒᲐᲚᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ – „ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ“ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ: ᲐᲕᲗᲝ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲯᲘᲜᲝᲠᲘᲐ, ᲜᲐᲜᲐ ᲨᲝᲜᲘᲐ, ᲖᲣᲙᲐ ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔ ᲜᲘᲜᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ; ᲐᲡᲔᲕᲔ: ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘ (ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘ ᲙᲐᲮᲘ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ), ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲐᲚᲔᲢᲘ; ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ: ᲞᲐᲐᲢᲐ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲫᲔ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲔᲘᲡᲐᲫᲔ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲯᲝᲠᲯ ᲛᲔᲚᲘ, ᲕᲐᲜᲘᲐᲜᲝ, ᲓᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲤᲮᲐᲚᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘᲐ ᲕᲔᲠᲐ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ, ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲔᲑᲘ – ᲜᲐᲢᲝ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ, ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲛᲔᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲘ - ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲡᲐᲚᲣᲥᲫᲐᲫᲔ.

ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ, ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ, ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ, ᲕᲘᲓᲔᲝᲐᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘ ᲘᲧᲝ. ᲖᲐᲖᲐ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲘᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ. 1997 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ. 30-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ, ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲢᲠᲔᲘᲚᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗ-ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ, ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲘᲡ, ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲘᲓᲔᲒᲛᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲘ, ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ 150-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲚᲑᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘᲙᲘᲗ (ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲐ, ᲯᲐᲖᲘ, ᲡᲐᲛᲒᲐ, ᲢᲐᲜᲒᲝ, ᲠᲔᲒᲔ, ᲠᲝᲙᲘ, ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲝᲙᲘ, ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ, ᲐᲕᲦᲐᲜᲣᲠᲘ, ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘ, ᲛᲔᲓᲘᲢᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ). 1986 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘᲡ, ᲚᲐᲡ ᲕᲔ�გᲐᲡᲘᲡ, ᲡᲐᲜ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝᲡ, ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘᲡ, ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘᲡ, ᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ.

ᲓᲐᲣᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ... ᲚᲝᲛᲘᲗ ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ

ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲐ ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲨᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲚᲝᲛᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲞᲐᲢᲐᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲗ ᲐᲡᲔᲘᲠᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲕᲘᲓᲔᲝᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ, ᲩᲐᲜᲡ ᲚᲝᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲚ „ᲕᲔᲜᲢᲚᲘᲡ“ ᲣᲙᲐᲜᲐ ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲔᲚᲖᲔ ᲖᲘᲡ.

ᲚᲝᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲙᲐᲪᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ. ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕᲔᲑᲘ ᲑᲠᲐᲚᲡ ᲬᲐᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲚᲝᲛᲘ ᲒᲐᲧᲘᲓᲐ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲨᲘ ᲚᲝᲛᲘᲡ ᲧᲝᲚᲐ ᲐᲠᲐᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲠᲐᲐ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ.ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲨᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ 224 ᲚᲝᲛᲘᲐ.

ᲚᲐᲓᲝ ᲒᲣᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲡ ᲑᲐᲥᲝ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲡ

ᲑᲐᲥᲝᲨᲘ, ᲰᲔᲘᲓᲐᲠ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲚᲐᲓᲝ ᲒᲣᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ.

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲰᲔᲘᲓᲐᲠ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲚᲐᲓᲝ ᲒᲣᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ. ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘ. 30-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ, ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲢᲠᲔᲘᲚᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗ-ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ, ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲘᲡ, ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲘᲓᲔᲒᲛᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲘ, ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ 150-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲚᲑᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘᲙᲘᲗ (ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲐ, ᲯᲐᲖᲘ, ᲡᲐᲛᲒᲐ, ᲢᲐᲜᲒᲝ, ᲠᲔᲒᲔ, ᲠᲝᲙᲘ, ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲝᲙᲘ, ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ, ᲐᲕᲦᲐᲜᲣᲠᲘ, ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘ, ᲛᲔᲓᲘᲢᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ). 1986 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘᲡ, ᲚᲐᲡ ᲕᲔ�გᲐᲡᲘᲡ, ᲡᲐᲜ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝᲡ, ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘᲡ, ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘᲡ, ᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ.

ᲛᲔᲤᲔ ᲩᲐᲠᲚᲖ III ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘᲐ

ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ. ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲐᲓᲔᲜᲝᲛᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲮᲐᲜᲡ ᲓᲐᲰᲧᲝᲤᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲩᲐᲠᲚᲖᲛᲐ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲐᲡᲐᲯᲐᲠᲝᲕᲐ თავისი მᲒᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲪᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲘᲛᲐᲫᲘᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲐᲠᲝᲜ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲓᲐ ᲣᲔᲚᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐ ᲙᲔᲘᲢᲡ.

ᲐᲙᲣᲜᲘᲜᲖᲔ ᲫᲔᲑᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ



ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲐᲚ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲐᲙᲣᲜᲘᲜᲖᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲫᲔᲑᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ – ᲫᲔᲑᲜᲘᲚᲗᲐ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲘ 26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ.

18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲐᲙᲣᲜᲘᲜᲘ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲡᲐᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ „ᲠᲝᲡᲤᲘᲜᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲛᲐ“ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲘᲐᲨᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ Ა�გᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲜᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
Ა.ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ №116 (ᲓᲘᲓᲣᲑᲔ ᲞᲚᲐᲖᲐ)

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
597-22-07-04

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲙᲐᲮᲐ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢ-ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲜᲐᲘᲠᲐ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ,
ᲛᲐᲘᲐ ᲘᲝᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ
ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲒᲕᲘᲚᲘᲐ

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ
GE90BG0000000538329790

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ:
ᲨᲞᲡ 100 – ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 36-00-35

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
Ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ.

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ,
ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ 105 ᲬᲚᲘᲡ
„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ:
ᲨᲞᲡ „ᲔᲚᲕᲐ ᲯᲘ“ 595 382 626; 2 38 26 73; 2 38 26 74577 308 847
ᲨᲞᲡ „ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲤᲝᲠᲢᲔ“ 579 79 99 08; 599 94 73 11
ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ ᲤᲝᲡᲢᲐᲖᲔ:
SAKRESP@TOP.GE SAKRESP@MAIL.RU

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, Ა. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ №116, „ᲓᲘᲓᲣᲑᲔ ᲞᲚᲐᲖᲐ“ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥ. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲝᲤᲘᲡᲘ.
ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲝᲑᲘᲡ (ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ) ᲗᲐᲜᲮᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲝᲗ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲖᲔ GEO90BG0000000538329790
ᲨᲞᲡ „100 – ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“, ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥ. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ.
ᲢᲔᲚ: 599 36 00 35, 577 77 27 17

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.6750; ᲔᲕᲠᲝ - 2.9056;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.4050;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 2.9857; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.0882;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.5721;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.6377

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:			
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-5,	ᲓᲦᲔ +7
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-11,	ᲓᲦᲔ +2
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥ